პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 171 (19612) ◆ შაბათი, 26 ივლისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ტექნიკური ინფორმაციის სამყაროში

საქართველოს მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გამოთვლითი ცენტრის კოლექტივი მეტად სასარგებლო შრომას ეწევა. იგი საწარმოებსა და სამეცნიერო-კვლევითს ორგანიზაციებს აწვდის ინფორმაციებს ახალი გამოკვლევებისა და შედეგების თაობაზე.

სურათებზე: მეცნიერებისა და ტექნიკის მართვის რესპუბლიკური ავტომატიზებული სისტემის განყოფილების გამგე ვ. ჯაჯა მაღრაძე, რომელიც აქ 1978 წლიდან მუშაობს; ინჟინერი კარინა კვირიკაშვილი, ტექნიკოსი ქეთევან მახარაძე და ინჟინერი მარინე გუბანოვა სამართავ პულტთან; ავტომატიზებული სისტემის ტექნიკური მომსახურების განყოფილების გამგე ვიქტორ ოხრიცი და ამავე განყოფილების სექტორის გამგე ლუიზა მიქავა მუშაობის დროს.

ა. სააკოვის ფოტო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ 24 ივლისს გამართულ სხდომაზე განიხილა ჟურნალ „კომუნისტის“ მუშაობის საკითხი. მიღებულ დადგენილებაში ხაზგასმულია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითს განვითარებას დაჩქარების სტრატეგიის წარმატებული განხორციელებისათვის, სკკპ XXVII ყრილობის მიერ დასახული იმ მასშტაბური და რთული ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც დაკავშირებულია სოციალისტური საზოგადოების ახალი თვისებრივი მდგომარეობის მიღწევასთან. აღინიშნა, რომ ჟურნალი „კომუნისტი“ მოწოდებულია სულ უფრო აქტიური როლს ასრულებდეს ყრილობის მიერ დასახული იდეების განვითარებასა და რეალიზაციაში, საზოგადოებათმცოდნეობის ახალი პრობლემატიკის შემდგომ განვითარებასა და გაღრმავებაში, პრაქტიკის მოთხოვნებისაკენ სამეცნიერო გამოკვლევების მტკიცე შემობრუნების უზრუნველყოფაში, ჩვენი კადრების ახლებურად აზროვნებისა და მოქმედების უნარის ჩამოყალიბებაში.

ჟურნალი მოვალეა აქტიურად უჭერდეს მხარს გაბედულ მეცნიერულ ძიებას საზოგადოებათმცოდნეობის დარგში, ყოველივე ახალსა და პროგრესულს, რაც წარმოიშობა გარდაქმნის დროს, იბრძოდეს ჩამორჩენილობისა და რუტინის წინააღმდეგ. პოლიტბიურომ აღნიშნა, რომ საჭიროა ჟურნალმა გარდაქმნის მუშაობის ფორმები და მეთოდები, შემოიკრიბოს ქვეყნის საუკეთესო თეორიული ძალები. ჟურნალმა უნდა განამტკიცოს კავშირი პარტიულ ორგანიზაციებთან, სამეცნიერო საზოგადოებრიობასთან, და ხელი შეუწყოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და იდეურ-აღმზრდელობითს საქმიანობაში ახალი მიდგომის განვითარებას, ამხილოს ბურჟუაზიული იდეოლოგია, რეაქციული თეორიები და ოპორტუნისტული კონცეფციები, ყოველმხრივ შეუწყოს ხელი სოციალიზმზე, როგორც ხალხთა მასების ცოცხალ შემოქმედებაზე, ლენინური შეხედულებების განხორციელებას.

პოლიტბიურომ განიხილა საყოფაცხოვრებო რადიო-ელექტრონული აპარატურის საფირმო ტექნიკური მომსახურების ორგანიზაციის საკითხი. ამ საკითხის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში განსაზღვრულია ღონისძიებანი, რომელთა მიზანია მოქალაქეთა კუთვნილი ტელევიზორების, მაგნეტოფონების, მიმღებებისა და სხვა რადიოაპარატურის ტექნიკური მომსახურების არსებითი გაუმჯობესება. მეთორმეტე ხუთწლედში დასახულია განხორციელდეს ტელევიზორების საფირმო ტექნიკური მომსახურება სპეციალიზებული ტექნიკურ-სავაჭრო და ტექნიკური ცენტრების მეშვეობით, რომლებსაც შექმნიან კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობის, რადიომრეწველობის, ელექტრონული მრეწველობისა და საერთო მანქანათმშენებლობის სამინისტროები. აღნიშნული ცენტრები აგრეთვე მოამზადებენ სახელმწიფო სავაჭრო ქსელის სპეციალიზებულ მაღაზიებში გასაყიდ ტელევიზორებს. შემდგომში საფირმო ტექნიკური მომსახურების ასეთი ფორმები გავრცელდება სხვა საყოფაცხოვრებო რადიოელექტრონულ აპარატურაზეც.

პოლიტბიურომ მოიწონა მალის რესპუბლიკის პრეზიდენტთან მ. ტრაორესთან საბჭოთა ხელმძღვანელობის მოლაპარაკება და აღინშნა, რომ მოლაპარაკების დროს ხელმოწერილი დოკუმენტები თანასწორობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპების კონკრეტული გამოვლინებაა, რომლებზეც საბჭოთა კავშირი აგებს ურთიერთობას აფრიკასა და სხვა მეუხბრობელ საელმწიფოებთან. ხაზგასმულია, რომ მოლაპარაკებამ ახალი იმპულსი მიანიჭა საბჭოთა კავშირ-მალის ურთიერთობას, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და მალიელი ხალხის დემოკრატიული კავშირის ურთიერთობის განმტკიცებას.

მოისმინეს ამხანაგების მ. ს. გორბაჩოვისა და ე. ა. შევარდნაძის ცნობა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფედერალური კანცლერის მოადგილესთან, საგარეო საქმეთა ფედერალურ მინისტრთან ჰ.-დ. გენშერთან მოლაპარაკების შედეგების შესახებ. აღინიშნა, თუ რა დადებითი მნიშვნელობა აქვს გამართულ აზრთა გაზიარებას, რომელმაც გამოავლინა სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური დიალოგისა და საქმიანი ურთიერთობის შესაძლებლობანი სხვადასხვა დარგში. დასავლეთ ევროპის დიდ სახელმწიფოს — გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას თავისი წილი პასუხისმგებლობა ეკისრება ევროპაში არსებული ვითარებისათვის და მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს საერთაშორისო ვითარების გაჯანსაღებაში, შეიარაღების შეზღუდვისა და შემცირების, კონტინენტზე უშიშროების განმტკიცების საკითხების გადაწყვეტაში. ხაზგასმით აღინიშნა, რომ სსრ კავშირი მზად არის ითანამშრომლოს მასთან ამ მიმართულებით ისე, რომ ზიანი არ მიადგეს არც ერთი მხარის სამოკავშირეო ვალდებულებებს. უნდა გაიზარდოს ევროპის როლი საერთაშორისო საქმეებში, ურომლისოდაც ვერ გადავდგამთ სერიოზულ ნაბიჯს წინ, ვერ გავკვლევთ უფრო უსაფრთხო მომავლის გზას. ამასთან აღინიშნა, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის პოლიტიკას, სამწუხაროდ, ბევრ რამეში კვლავ წარსულის ბეჭედი აზის, რაც არ შეესაბამება ბირთვულ-კოსმოსურ ეპოქაში ახალი პოლიტიკური აზროვნების მოთხოვნებს. თანამედროვე მსოფლიოზე პასუხისმგებელი შეხედულების სასარგებლო გამონთქვამები უნდა განმტკიცდეს რეალური პრაქტიკული საქმეებით, რომლებიც ითვალისწინებენ ჩვენს საერთო ევროპულ სახლში მცხოვრები ხალხების საამედო უშიშროების უზრუნველყოფას. ეს შეესაბამება როგორც თავად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ინტერესებს, ისე სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, აღმოსავლეთისა და დასავლეთ ევროპის ურთიერთობის გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სხდომაზე განხილულ ამხანაგ ს. ლ. სოკოლოვის ცნობა ფინეთში მისი ვიზიტის შედეგების შესახებ, აგრეთვე საშინაო და საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი სხვა საკითხი.

ამხანაგი მ. ს. გორბაჩოვი ვლადივოსტოკს გაფრინდა

25 ივლისს მოსკოვიდან ვლადივოსტოკს გაემგზავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი ვლადივოსტოკში ჩავიდა.

აეროპორტში მას დახვდნენ სკკპ ზღვისპირეთის სამხარეო კომიტეტის პირველი მდივანი დ. ნ. გაგაროვი, სამხარეო აღმასკომის თავმჯდომარე დ. ი. კარაბანოვი, პარტიის სამხარეო კომიტეტის მიურის წევრები. (საკდესი).

მეჩაიმეები: დაჩქარდეს მუშაობის ტემპი

მინდვრებსა და კლანტაციებში

საქართველოს ჩაის პლანტაციებში გაჩაღდა განმეორებითი ვეგეტაციის ფოთლის მასობრივი კრეფა. ივლისის მეხუთეკარე მშრალი დღეები ხელს უწყობს მუშაობას, ქმნის მისი ტემპის დაჩქარების, ფოთლის კრეფაში ალოობის დამდეგიდან დაშვებული ჩამორჩენის ლიკვიდაციის პირობებს. ჩამორჩენა კი საკმაოდ დიდია. როგორც საქართველოს სსრ სახაგრომრეწვის ოპერატიული ცნობიდან ჩანს, 25 ივლისისათვის რესპუბლიკაში მოკრეფილია და გადასამუშავებლად გადაცემულია 231815 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამავე პერიოდში მიმღებ პუნქტებში გაიგზავნა 283556 ტონა ჩაი. სხვაობა თუმცა შესამჩნევად შემცირდა ბოლო დროს, მაინც 51 ათას ტონაზე მეტს შეადგენს.

ყველაზე მეტი ჩამორჩენა აქვთ მეურნეობებს აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში — 9100 ტონა, აჭარის ასს რესპუბლიკაში — 3700 ტონა, მახარაძის რაიონში — 10200 ტონა, ზუგდიდის რაიონში — 9300 ტონა, ლანჩხუთის რაიონში — 3600 ტონა, ხობის რაიონში — 2000 ტონა, წალენჯიხის რაიონში — 2700 ტონა, ჩხოროწყუს რაიონში — 3.100 ტონა.

ამავე დროს შარშანდელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ნაზი ფრაქციის შემცველობა ჩაის ნედლეულში. მაგალითად, ჩვლისის განმავლობაში მან მთლიანად რესპუბლიკაში შეადგინა 46,4 პროცენტი, ლანჩხუთის რაიონში — 10-15 პროცენტით მეტია შარშანდელ შესაბამის პერიოდთან შედარებით.

სასიხარულოა ის ფაქტი, რომ რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების დიდი უმრავლესობა ჯეროვანი პასუხისმგებლობით მიუდგა პროდუქციის ხარისხს. ამ მხრივ კარგი მაჩვენებლები მოიპოვეს ქედის, ქობულეთის, გალის, გულრიფშის, ვეგეტკორისა და სხვა რაიონების მშრომელებმა, სადაც ნაზი ფრაქციის შემცველობა ჩაის ფოთოლში 49,50 და მეტ პროცენტს შეადგენს. სოხუმის რაიონის მეურნეობებში მან 60 პროცენტს მიაღწია.

ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲠᲝᲖᲔ

ᲕᲘᲜᲪᲮᲐ პროფესიულთან ერთად, სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობა ეხება ბევრ საკითხს, რომელთა გადაწყვეტასაც დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, გავლენას ახდენს ადამიანთა ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებაზე. ამიტომ მათი მუშაობა მარტოოდენ სტატისტიკური მონაცემებით კი არ უნდა ფასდებოდეს, არამედ საბოლოო შედეგებით, რეგიონებში და მთლიანად რესპუბლიკაში რეალური ოპერატიული და ზნეობრივ-პოლიტიკური ვითარებით.

ასეთი იყო საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული რესპუბლიკური თათბირის მონაწილეთა ერთსულოვანი აზრი. თათბირი მიეძღვნა 1986 წლის პირველ ნახევარში დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგების შეჯამებასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე დასახული ამოცანების განხილვას. თათბირზე მოწვეული იყვნენ რესპუბლიკის სამართალდაცვითი ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, ავტონომიური რესპუბლიკების, ოლქის, ქალაქებისა და რაიონების პროკურორები, სახალხო სასამართლოთა თავმჯდომარეები, შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელები, პარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტების ადმინისტრაციული ორგანოების განყოფილებათა გამგეები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

თათბირზე გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯ. ი. პატიაშვილი.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები ვ. ი. ალავიძე, გ. გ. გუშმარიძე.

გავუფრთხილდეთ რესპუბლიკის ავტორიტეტს

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ნახევარწლეული ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრებისადმი მომთხოვნელობის გადიდებისათვის მუშაობის გაკქტიურების პერიოდი გახდა. მასში საგრძნობი წვლილი შეიტანეს სამართალდაცვითმა ორგანოებმაც. ეს დასტურდება სტატისტიკური მონაცემებით და კონკრეტული ფაქტებით, რაც მთავარია, სოციალისტური მორალისა და სამართლის ნორმების დარღვევისათვის დასჯის აუცდენლობის ვითარებით.

მაგრამ პრინციპული და თანამიმდევრული უნდა ვიყოთ ბოლომდე, გადაჭრით მოვიშოროთ ფორმალიზმის, მოჩვენებითობის, სინამდვილის შელამაზების ელემენტები, ხაზგასმით აღინიშნა თათბირზე. სხვაგვარად ეფფრებით მანიპულაცია დანაშაველთა აშკარა ნებაზე მიშვებად შეიძლება გადაიქცეს. მაგალითად, რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო ცენტრში აღრიცხვაზეა საქმეები მთელი რიგი დანაშაულობების შესახებ, რომლებიც თავის დროზე ანგარიშებში აღნიშნული იყო როგორც გახსნილი საქმეები. სტატისტიკის შელამაზების თითქოსდა უწყინარმა სურვილმა პრაქტიკულად გამოიწვია ის, რომ არავინ იწუხებდა თავს ემხილათ და პასუხისგებაში მიეცათ დამნაშავეები, რომლებიც თავისუფლად დასეირნობენ. პროკურატურა გულდასმით უნდა გაერკვეს საარიცხვო დოკუმენტებად დაკავრებულ ხრიკებში, გამოავლინოს ის პირები, რომლებიც „იჩენდნენ დანაშაულებრივ დაუდევრობასა და უპასუხისმგებლობას.

ეს საქმოა კიდევ იმიტომ, რომ მთლიანად რესპუბლიკაში ხრადამაკმაყოფილებლად წარმოებს მუშაობა მკვლელობების თავიდან აცილებისა და გახსნისათვის. სისხლისსამართლებრივი სამძებრო ზოგიერთი თანამშრომლისა და პროკურატურის გამომძიებელთა პროფესიული სისტემისა და არაკვალიფიციურობის შედეგად გაუხსენი დარჩა ქუთაისში, გორში, წყალტუბოში, გეგეჭკორში, სამტრედიაში, ჩოხატაურში, გარდაბნის რაიონში განხრახ ჩადენილი მკვლელობანი.

მოქალაქეთა პატივისა და ღირსების დაცვა — რესპუბლიკის ავტორიტეტთან დაკავშირებული პოლიტიკური ამოცანა, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საკმაოდ ეფექტიანად ვერ წყდება, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა საკურორტო-ტურისტული სეზონის დროს. მაგალითად, ვერ შეძლეს მთლიანად დაეცვათ დამსვენებლები მათი პირადი ღირსებისა და ქონების ხელყოფისაგან გუდაუთისა და ბორჯომის რაიონებში, გაგრაში, წყალტუბოსა და მთელ რიგ სხვა ქალაქებში. მით უფრო შეუწყნარებელია გამოვლენილი შემთხვევები, როცა ადმინისტრაციული ორგანოები იკავებენ დამნაშავეთა დაცვის პოზიციას.

ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ საშიშროებას წარმოადგენენ ეგრეთ წოდებული „კანონიერი ქურდები“. ერთი მხრივ, ისინი ხელმძღვანელობენ ბანდებს, მეორე მხრივ, დაიწყეს, და საკმაო წარმატებითაც, სხვადასხვა ჯურის საქმოსნებთან და მაქინატორებთან კავშირის შეკვრა. ღონისძიებები, რომლებიც განახორციელეს ამ დეკლასირებული ელემენტების მიმართ, მოიწონა და მხარი დაუჭირა ყველა პატიოსანმა ადამიანმა. ამოცანა ის არის, რომ საერთოდ ამოვიღოთ ლექსიკონიდან თვით ტერმინი „კანონიერი ქურდი“, — რათა ქურდი იყოს იქ, სადაც მისი ადგილია — კანონგარეშე. ამიტომ საკითხი ახლა ასე დგას: იქ, სადაც უწმინდური ქურდები დაუსჯელად განაგრძობენ თავიანთ ბინძურ საქმეებს, მილიციის უფროსს არაფერი ესაქმება არც თავის თანამდებობაზე, არც პარტიაში.

ჯერ კიდევ პასიურობენ ადმინისტრაციული ორგანოები რეციდივული დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება აფხაზეთის ასს რესპუბლიკას, ქალაქებს თბილისსა და ტყიბულს, დმანისს, ყვარელს, სიღნაღსა და მთელ რიგ სხვა რაიონებს. ზოგჯერ უსაფუძვლო ლიბერალური სასჯელი, სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებით მანიპულირება განმეორებითი სამართალდარღვევებით შემოგვიბრუნდება ხოლმე. ბოლოს და ბოლოს, ზოგიერთებმა, ალბათ, უნდა გადაწყვიტონ, ვისთან უნდა იყვნენ — ქურდებთან, მექრთამეებთან და სპეკულანტებთან, თუ მშრომელებთან, ყველა პატიოსან ადამიანთან.

დანაშაულობების, ნასვამ მდგომარეობაში საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევების რიცხვის საერთო შემცირების მიუხედავად, მთელ რიგ რეგიონებში ვერ მოხერხდა ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდატეხის მიღწევა.

კერძოდ, ბევრი დანაშაული ჩაიდინეს ნასვამმა პირებმა საგარეჯოს, სიღნაღის, თეთრი წყაროს, თელავის, ქარელის, ლაგოდეხის, ბოგდანოვკის რაიონებში. ოდნავ უკეთესი მდგომარეობაა ახალციხის, ახმეტის, დმანისის, თერჯოლის, წულუკიძის, წითელწყაროს რაიონებში, ქალაქ თბილისის ლენინისა და გლდანის რაიონებში, ქალაქებში ბორში, რუსთავსა, ფოთში. ჯერ კიდევ დაბალია ლოთობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის მუშაობის დონე სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

დროა, ბოლოს და ბოლოს, წესრიგი დამყარდეს საზოგადოებრივ კვებაში, რესტორნებში, განსაკუთრებით თბილისის, ქუთაისის, სხვა ქალაქების გარეუბნებში, სადაც ზშირია ანგარიშში ორსაბმაგად მოტყუების, ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის უხეში დარღვევების შემთხვევები. ამასთან, ეს ხდება მთელი რიგი ხელმძღვანელი მუშაკების, მათ შორის სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკების მფარველობით.

არ ნელდება ნარკომანიის პრობლემის სიმწვავე. ნარკოტიკების უზომო სიძვირე, ნარკომანების ზნეობრივი და სოციალური დეგრადაცია გარდაუვალად უბიძგებს მათ დანაშაულობათა გზისაკენ — ქურდობის, ძარცვის, ყაჩაღობის, გამომძალველობის, თაღლითობისაკენ. გამოდის შეკრული წრე — ნარკოტიკულ ნივთიერებათა სპეკულანტით, გამსაღებლითა და რეალიზატორით დაწყებული, რომლებიც უზარმაზარ ფულს იჯიბავენ ამ ბინძური იატაკქვეშა ბიზნესით, და ნარკომანების მომხმარებლით, ნარკომანით დამთავრებული, რომელიც მათ შესაძენად არ ერიდება უშრომელი შემოსავლის შოვნას.

სოციალური სამართლიანობის პრინციპის დამკვიდრებით

ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲘᲡ განმტკიცება და წესრიგის დამყარება ორგანულად უკავშირდება საკვანძო სოციალურ-კონომიკური პრობლემების გადაჭრას. ამიტომ სამართალდაცვითი ორგანოების საქმიანობის შეფასება ბევრად არის განპირობებული იმით, თუ რამდენად შეესაბამება ეგი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების ამოცანებს.

სოციალისტური საკუთრების დატაცების, საქმოსნობისა და მაქინატორობის, აღურიცხავი პროდუქციის გამოშვების ფაქტების აღკვეთა დიდი რეზერვია ეკონომიკურ სფეროში. საიდუმლო არ არის, რომ ამ მიზეზით სახელმწიფოს დიდი დანაკარგები ადგება, იგი განიცდის უდიდეს ზარალს, რაც იწვევს გართულებებს სამეურნეო საქმიანობაში, გავლენას ახდენს მშრომელთა მატერიალურ კეთილდღეობაზე, ხელს უშლის სოციალური სამართლიანობის პრინციპების დამკვიდრებას. ზშირად უპასუხისმგებლობის, უყაირათობის ფაქტებს მიღმა იმალება სახალხო დოვლათით ხელის მოთბობის კარგად მოფიქრებული სისტემა.

ზოგიერთ დარგსა და სფეროში ფულის შეწერის, მექრთამეობის, გამომძალველობის, უშრომელი შემოსავლის მიღების სხვადასხვაგვარი ფორმების გარკვეული მექანიზმიც კი ჩამოყალიბდა. შეინიშნება ახალი ტენდენციაც: ზოგიერთი პიროვნებანი თაღლითი და საქმოსანი, რომლებმაც, როგორც ჩანს, იგრძნეს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების სერიოზულობა და შეუქცევადობა, ახლა ცდილობს, რომ იტყვიან, მშვიდობიანად გაცლას და შემდეგ მალულად მოქმედებას. ამას ვერ დავუშვებთ. ასეთი ელემენტების წინააღმდეგ ბრძოლა ბოლომდე უნდა მივიყვანოთ. მტკიცედ უნდა გადავიღეთ შეტევაზე, თორემ შეტევაზე ისინი გადმოვლენ. ის, თუ როდენ საშიში არიან გამორჩენას გამოდევნებული ანტისაზოგადოებრივი ელემენტები, ერთხელ კიდევ შეგვახსენა ქვახვრელის ტრაგედიამ.

სასამართლომ საკადრისად მიუზღო მკვლელებს. მაგრამ ამ ტრაგედიის ფაკვეთილი გვარწმუნებს, რომ გარდაქმნას უბრძოლველად ვერ მოვახდენთ. ეს ბრძოლა კი მტკიცედ და მიზანმიმართულად უნდა ვაწარმოოთ.

სამართალდაცვითი ორგანოების მუშაკთა უმრავლესობას ღირსეული, გამბედავი და ვაჟკაცი ადამიანები შეადგენენ, როგორც ეს სიცოცხლისათვის რისკთან დაკავშირებულ პროფესიას შეეფერება. ახლა, როცა ხდება პროკურატურის, შინაგან საქმეთა, იუსტიციის ორგანოებისა და სახალხო სასამართლოების საქმიანობის გარდაქმნა, სწორედ ასეთ ადამიანებზე ვამყარებთ იმედს დისციპლინის განმტკიცებისა და ჯეროვანი წესრიგის დამყარების საქმეში. მაგრამ ჯერჯერობით გარდაქმნის პროცესი უმთავრესად ცენტრალურ აპარატებში იგრძნობა. ადგილებზე კი, სამწუხაროდ, ცოტა რამ შეიცვალა.

სერიოზული ნაკლოვანებანი ახასიათებს დატაცებებით სახელმწიფოსათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურებისათვის მუშაობას. ამ თვალსაზრისით დაბალი შედეგები აქვთ ტრანსპორტზე პროკურატურის ორგანოებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, თეთრი წყაროს რაიონში. უკეთესი როდი სტუაცია დმანისის, საგარეჯოს, ჩოხატაურის შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებებში, ტრანსპორტის შინაგან საქმეთა მთელ რიგ ორგანოებში. ცუდად აზღვევენებენ ზარალს ამბეკის, ბოლნისის, გეგეჭკორის, დმანისის, მესტიის რაიონების სახალხო სასამართლოები.

პარტიის XXVII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1986 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი ქმნის პირობებს სოციალური სამართლიანობის პრინციპების ყველგან დამკვიდრებისათვის. სამართლიანობა კი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, თუ ბოლო მოეღება ქრთამს! ამიტომ, მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლა არ უნდა შეგვანელოთ. და აქ ძალზე საჭიროა ვიწეროდეთ მას გააზრებულად და მიზანმიმართულად ფულის შეწერისა და მექრთამეობის ძირითადი ორგანიზატორების წინააღმდეგ, ამასთან არ ვინღიბებოდეთ მეორეხარისხოვან პირთა გამოაშკარავების სტატისტიკით.

და, ბოლოს, მექრთამეობის, დატაცების, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა სახეობებისა და საერთოდ დამნაშავეობის წინააღმდეგ წარმატებული ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა თვით ადმინისტრაციულ ორგანოებში მექრთამეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. დღეს ეს უპირველესი ამოცანაა. ადმინისტრაციული ორგანოების თანამშრომელთა რიგების გაწმენდისათვის ბრძოლა ადვილი არ იქნება. ადამიანები, რომლებიც ხელგაშლილ ცხოვრებას მეიჩვევნენ, არც ისე ადვილად დაგვნებდებიან, ისინი ყოველ ღონეს ხმარობენ, არაფერს არ თაკილობენ, ოღონდ არ დაკარგონ „თბილი ადგილი“. გადადიან იერიშზე, ცდილობენ სახელი გაუტეხონ იმათ, ვინც ისინი გამოაშკარავა. მაგალითად, ვის აღარ მიმართა არაუწყებრივი დაცვის სამმართველოს უფროსის ყოფილმა მოადგილემ ვ. ჩიქოვანმა, რომელიც პარტიიდან გარიცხეს და ორგანოებიდან დაითხოვეს არასწორი საქციელისათვის, ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

თათბირმა, რომელმაც სკკპ XXVII ყრილობის, პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა სულისკვეთების შესაბამისად პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის ვითარებაში ჩაიარა, დასახა რესპუბლიკის ცხოვრებაში ყოველივე ნეგატიურის წინააღმდეგ გენერალური შეტევის, მისი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის მტკიცე გაჯანსაღების კონკრეტული გზები და მიმართულებანი.

(საქინფორმი).

ᲓᲦᲔᲡ ᲬᲘᲗᲔᲠᲘᲐ:

● ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲠᲗᲚᲬᲔᲡᲠᲘᲒᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲐᲯᲠᲝᲖᲔ. (1-ლი გვ.).

● „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ“ ᲔᲫᲘᲔᲑᲡ ᲠᲔᲖᲘᲠᲕᲔᲑᲡ: ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ; ᲙᲝᲚᲥᲢᲘᲗᲘ — ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲯᲣᲚᲘᲐᲜᲝᲡᲘ. (მე-2 გვ.).

ᲩᲕᲔᲚᲘ, ᲠᲘᲗᲘᲗ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ

● ᲒᲖᲐ ᲒᲐᲓᲐᲕᲣᲙᲔᲗᲝᲗ ᲣᲮᲠᲝᲕᲔᲚ ᲨᲔᲛᲝᲛᲡᲐᲕᲐᲚᲡ: ᲗᲐᲚᲚᲘᲗᲝᲜᲝᲑᲘᲡ ᲚᲐᲑᲘᲠᲘᲜᲗᲔᲑᲨᲘ; „ᲛᲔᲤᲮᲕᲔᲑᲘ ᲦᲐᲛᲘᲗ ᲜᲐᲓᲘᲠᲝᲑᲔᲜ...“. (მე-3 გვ.).

● ᲒᲣᲚᲐᲮᲓᲘᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ (ᲛᲧᲠᲐᲚᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲕᲘᲓᲐᲜ). (მე-4 გვ.).

● ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲩᲔᲛᲘᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲗᲐᲓᲠᲐᲯᲨᲘ: ᲓᲐᲕᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ. (მე-4 გვ.).

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲘᲐᲠᲗᲕᲔᲑᲐ „ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲕᲘᲖᲘᲗᲔᲚᲘ?

ᲕᲘᲖᲘᲗᲝᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲖᲘᲗᲝᲗ ᲒᲐᲚᲐᲮᲘ

ᲩᲥᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ

ᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘᲡ დამზადების ამ ცხარე დღეებში ახალციხის რაიონის აგარის საბჭოთა მეურნეობის საკვებმომამზადებელთა ბრიგადები (ბრიგადირები გ. დვალიშვილი, რ. მელიქიძე) დილის შვიდ საათზე გასულიყვნენ სამუშაოდ და დღის 10 საათისთვის უკვე ბალახის მწვანე მასით დატვირთული ავტომანქანები იცლებოდა სასენაჟე ორმოებში.

მეურნეობაში 30 ივნისს შეუდგენენ სენაჟის ჩადებას. შარშან კი შესაბამისი პერიოდისათვის დამზადებული ჰქონდათ 596 ტონა სენაჟი. მალე საკვებმომამზადებლებმა არათუ თავი დაიჭიეს ჩამორჩენის, არამედ დაწინაურდნენ კიდეც. საგეგმო 800 ტონის ნაცვლად 1526 ტონა სენაჟი დაამზადეს. ეს იმის მეოხებით შეძლეს, რომ წელს აქ კარგად იყენებენ მატერიალური და მორალური წახალისების ახალ პროგრესულ ფორმებს. ყოველდღიურად გეგმის გადამეტებით გადაზიდული ტონა სენაჟისათვის მექანიზატორებს დამატებით ეძლევათ 20 კაპიკი ფულად, ბოლო სენაჟზე დასაქმებულ ყოველ მუშას, თუ უდანაკარგოდ აიღებს ბალახს და სენაჟსაც ხარისხიანს დაამზადებს, წლის ბოლოს ნატურის სახით მიეცემა დამზადებული სენაჟის 5 პროცენტი. ამიტომ არის, რომ ახლა ყველა იმას ცდილობს, ბალახი ძირში გთიბოს და საერთოდ საკვები უდანაკარგოდ დაამბინოს. საკვებმომამზადებელთა შეუფერებელი მუშაობას ისიც უწყობს ხელს, რომ შუადღით მათთვის მინდორში მიაქვთ ცხელი კერძები და გამაგრილებელი წყლები, ძვირფას სამუშაო დროს აღარ კარგავენ სადილისათვის შინ წასვლით.

საკვების დამზადება სწრაფი ტემპით მიმდინარეობს აწყურის, სვირის, საძელის საბჭოთა მეურნეობებში, ახალციხის სანერგე საბჭოთა მეურნეობა-ტექნიკუმში, ხანდოს და მუსხის ლენინის სახელობის კოლმეურნეობებში, რომლებმაც უკვე შეასრულეს სენაჟის დამზადების გეგმა-ვალდებულებანი.

მაგრამ ასე როდი ითქმის წყალთბილას, აბათხევის, ბამაჯის, წყრუთის საბჭოთა მეურნეობების, ანის და ურაკლის კოლმეურნეობების საკვებმომამზადებლებზე, რომლებიც ჯერ-ჯერობით მკვეთრად ჩამორ

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ: ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲝᲑᲐ ᲛᲐᲓᲚᲘᲐ ᲙᲐᲪᲘᲡᲐ

ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ სულში თუ არ ჩაიხედე, თუ არ გაიგე, რას ფიქრობს, რას აკეთებს, როგორი ურთიერთობა აქვს კოლექტივთან, რა თქმა უნდა, მასზე სრული წარმოდგენა არ გიქნება. ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხნის პარტიულის მდივანს რევაზ შალიკაძეს ახლოს არ ვიცნობდი. ეხვდებოდი საქალაქო ღონისძიებებზე, ვუსმენდი ტრიბუნიდან. ქარხანაშიც მინახავს, ეს იყო და ეს. როგორც იტყვიან, პური ერთად არ გაგვიტეხია, ამდენად მასზე რაიმე ჩამოყალიბებული აზრი არ მქონდა. მაგრამ როცა მის ფიქრებსა და გეგმებს გავეცანი, მისმა განცდა-საზრუნავმა მიც გამიჩინა საფიქრალი. შეიძლება რევაზის ყველა შეხედულება კაცმა არ გაიზიაროს, მაგრამ ერთი რამ აშკარად ჩანს — იგი მშობლიურ საწარმოზე, საერთო საქმეზე ფიქრით ითენებს და ღიამებს, მრავალი კარგი მოსაზრება აქვს, რომლებიც, უდავოდ, ყურადღებას და თანადგომას საჭიროებს.

ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანა ოცდახუთიოდე წლისა იქნება. მახსოვს, ქალაქის სამხრეთ ნაწილში ყაზარმული ტიპის ორ კორპუსში გამოუშვეს პირველი პროდუქცია... წლები გადოდა. ქარხანა შენდებოდა და ფართოვდებოდა. იდგმებოდა ახალი ხაზები და ავტომატები. მშენებლობა კვლავაც გრძელდება. ბათუმელი მეტრანსფორმატორეები 16 სახის პროდუქციას უშვებენ, იბრძვიან იმისათვის, რომ მათი ნახელავი, რომელიც 30 ქვეყანაში იგზავნება, მსოფლიო სტანდარტების დონეს არ ჩამორჩეს. ეს თავისთავად მათს ნაყოფიერ შრომაზე ლაპარაკობს.

პარტბიუროს მდივანი ახალ კორპუსთან ვნახე, სამუშაოთა მწარმოებელს, ლენინის ორდენოსან ილია ზაქარაძეს ესაუბრებოდა. სამშენებლო მასალების მომარაგებაში შეფერხებების მიუხედავად ილია ახერხებს ვადებს არ ჩამორჩეს. კაცს ვერ ნახავთ, მისი მუშაობით კმაყოფილი რომ არ დარჩენილიყოს. ახალი კორპუსების მშენებლობა 1987 წელს უნდა დავამთავროთ, ვცდილობ თავი არ შევიჩაცხვინოო, მითხრა ილიამ.

ახალი საამქრო და ახალი ხაზები დავათვალიერეთ. ადრინდელთან შედარებაც არ შეიძლება. მექანიზაცია, ტექნოლოგიური სიახლეები განსაზღვრავს საწარმოს ეფექტიანობასა და პროდუქციის ხარისხს. საერთო პროდუქციაში ხარისხისნიშნიანმა 80 პროცენტს მიაღწია. ეს კარგ მაჩვენებლად ითვლება.

ათასკაციან კოლექტივში 235 კაცი კომუნისტია, 450 კომკავშირელი. ეს უდიდესი ძალაა, ანუ თითო კოლექტივით მთების დასძრავთ მეთქი, ვუთხარი მდივანს. იგი თან არ მიიტანეს საწარმოს სატკივარი, არ გაითავისეს ის სირთულე, რომლის წინაშეც საწარმო აღმოჩნდა. ამას ემატება ისიც, რომ ქარხანას არ ყოფნის მაღალკვალიფიციური კადრი. ახლანდელი რთული მანქანები თეორიულ ცოდნასაც მოითხოვს. ძველმა - პრაქტიკოსებმა დიდად არ შეიწუხეს თავი უმოკლეს დროში აეთვისებინათ ახალი დანადგარები და ავტომატური ხაზები.

ქვეყანა იმყოფება გარდაქმნის პროცესში, იგი არა მარტო ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს, არამედ საქმე ეხება საზოგადოების თითოეული წევრის, საქმაოდ მთელი კოლექტივის ახლებურად მიდგომას. ამ მხრივ რა ნაბიჯია გადადგმული, რა კეთდება ან რა გაკეთდება საწარმოში?

—გარდაქმნა რთული საკითხია, — თქვა მდივანმა — რაც მთავარია, ჩემი აზრით, გარდაქმნა პირველ რიგში უნდა მოხდეს ადამიანის აზროვნებაში, შეხედულებებში, საქმისადმი დამოკიდებულებაში, ასეთი გარდაქმნა ერთი ხელის დაკვრით წარმოუდგენელია, საამისოდ ადამიანებთან ხანგრძლივი მუშაობაა საჭირო, ტექნოლოგიური გადაიარაღება და ახალი ტექნიკის დანერგვა აუცილებელი ატრიბუტია. როცა ეს ორი საკითხი გადაწყდება, მაშინ ყველაფერი რიგზე იქნება. საამისოდ ჩვენ დავიწყეთ ზამთების მიღება. ვაშენებთ ახალ კორპუსებს და ვიძენთ ახალ მანქანებს. ამავე დროს პარტიული ბიუროკომპლექსურ ღონისძიებებს ახორციელებს კადრების მოსამზადებლად და გადასამზადებლად. პროფტექნიკური სასწავლებლები, ზოგჯერ ინსტიტუტებიც კი ვერ გვაკმაყოფილებენ. ამ ეტაპზე ეს ყოველმხრივ მომზადებულნი იყვნენ. მათ არ აქვთ საჭირო პრაქტიკული გამოცდილება, ამიტომაც ახალგადგმს პირველ ხანებში უძნელდებათ მუშაობა. კარგ შედეგს გვაძლევს დამრიგებლობა. პირველ საამქროში რაც კი გულანნინი შეაქვს საერთო რიტმში. პასუხისმგებლობის დეპუტატის, ოსტატ ლეონა დიასამიძის აღზრდილია. მათი წყალობით საამქრო უნაკლო პროდუქციას უშვებს. დიდი გამოცდილება აქვს ზეინკალ ვიქტორ ვალუსესკის. მან ათობით ახალგაზდა დაოსტატა. ქარხანა თავისთავად შესანიშნავი სკოლაა, ახალგაზრდა როცა მონდომებულია, ადვილად ითვისებს სპეციალობას. ზოგჯერ კურიოზებსაც ვაწყდებით. იყო კარგი მუშა, დამთავრა ინსტიტუტი, მაგრამ ცუდი ინჟინერი დადგა, რაკი საქმეს თავი ვერ გაართვა, ისევ მუშად მოისურვა დაზგასთან დგომა.

პარტბიუროს მდივანმა სხვა საყურადღებო მაგალითებიც მოიყვანა. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოწოდებას, საქმით გატაცებას. აი, ქარხნის პარტბიუროს წევრი ჯონი ჩახვაძე რიგითი მუშა იყო. წარმოებისაგან მოუწყვეტლად დაამთავრა ინსტიტუტი. მას გაჭირვების ტალკვესი შერჩვეს. ახალი პროდუქციის ათვისებისას ვერ მიიღეს სრულყოფილი კვანძი, ზომებში არ ჯდებოდა, კონსტრუქციის ხარვეზები აღმოაჩნდა. ჯონიმ სხვადასხვა ვარიანტი სინჯა და. მანამ არ მოეშვა, სანამ სრულყოფილი დეტალი არ მიიღო. ეს ერთადერთი შემთხვევა როდია. რაციონალიზატორ ჯ. ჩახვაძეს ათობით ტექნოლოგიური სიახლე შეაქვს. საწარმოში ასობითაა ისეთი მუშა, რომლებიც წარმატებით წყვეტენ საწარმოს წინაშე მდგომ ამოცანებს. ათათასობით მანეთის ეკონომიკური ეფექტი მოჰყვა რაციონალიზატორ ნიკოლოზ ფეოდორიდის წინადადებას. სამწუხაროდ, ასეთი მოწინავე ადამიანების გვერდით შრომობენ ისეთებიც, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას, აცდენენ, აგვიანებენ, დატვირთვით არ მუშაობენ, ხარისხის გასაუმჯობესებლად არ იბრძვიან, რასაც დისონანსი შეაქვს საერთო რიტმში. პარტიულ კომიტეტს, აქტივს ინდივიდუალურად უხდებათ მათთან მუშაობა.

—საამქროებში, უბნებზე, ბრიგადებში ადამიანებთან შეხვედრით რამდენად მეტ საქმეს გავაკეთებდი, რომ სხვა დავალებებით არ ვიტვირთებოდე, — გულისტკივილი გამიმხილა რ. შალიკაძემ. — თათბირები რადიკალურად შემცირდა, მაგრამ დროის რაციონალურად გამოყენების მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს სასაყვედურო. ხშირად მეძახიან სხვადასხვა ორგანოებში, ისევ მიხდება უმარავი ინფორმაციისა და მოხსენებითი ბარათების წერა. ამისთვის დახარჯული დრო საამქროებში რომ გამეტარებინა, ქარხანასაც და საამქროსაც მეტ სარგებელს მოვუტანდით.

პარტიულმა ბიურომ აქტივთან მოითათბირა და გადაწყვიტეს, რომ იმუშაონ საკვანძო საკითხებზე, პირველ რიგში მოაგვარონ ყველაზე რთული პრობლემები, როგორიცაა ტექნოლოგიური გადაიარაღება, კადრების მომზადება, საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება. პასუხისმგებლობის გაზრდა.

კადრების დენადობა კვლავ არის. ამ მოვლენას პარტიული ბიუროთავისებურად ხსნის. საწარმოში სამუშაოდ ბევრი შემთხვევითი კაცი მოდის, მაგალითად, პედაგოგი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, ისეთები, რომელთაც ქარხანაზე ზერელე წარმოდგენა აქვთ, შემდეგ კი ვერ ეგუებიან აქაურ ატმოსფეროს და გარბიან. ამ საქმეს პარტბიუროს მოჰკიდა ხელი. ყოველმხრივ სწავლობენ, ამოწმებენ საწარმოში მისაღებ მუშას.

სიინელეებს აწყდებიან პარტიული მუშაობის სფეროშიც. მაგალითად, ქარხნის სამმართველოს პარტიულ ორგანოსაციაში ექვსი განყოფილების კომუნისტები, რომელთა მუშაობის ხასიათი და აქედან გამომდინარე საკითხები თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ტრანსფორტის განყოფილებას თითქმის საერთო არაფერი აქვს შრომისა და ხელფასის განყოფილებასთან. კრებებზე ზოგჯერ საკითხების განხილვა ფორმალურ ხასიათს ატარებს. მდივნის აზრია მონათესავე განყოფილებებისათვის ცალკე შეიქმნას პირველადი პარტიული ორგანიზაცია. ეს საკითხი დაფიქრებასა და გადაწყვეტას მოითხოვს.

კოლექტივი ეფექტიან ზემოქმედებას ახდენს იმათზე, რომლებიც არღვევენ შინაგანაწესს. ასეთი შემთხვევა იყო: საამქროს უფროსი რევაზ გორდაძე მეძალა სპირტიან სასმელებს. გაფფრთხილეს, მაგრამ თავისი არ მოიშალა. გორდაძის მოქმედება საამქროს პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. კრებამ მოითხოვა მისი სამუშაოდან მოხსნა. კოლექტივის მკაცრმა, მაგრამ სამართლიანმა მოთხოვნამ რ. გორდაძეს ეფექტი მოიყვანა. მან კრებას აღუთქვა, რომ გარდაიქმნებოდა. საამისოდ დრო მისცეს. რევაზმა ნაყოფიერი შრომით გამოისყიდა შეცდომები. ახლა თვითონ და მისი საამქრო ქარხანაში ერთ-ერთი მოწინავეა. არიან ისეთებიც, რომლებსაც საზოგადოებრივი ღონისძიებებიდან ჯერაც არ გამოუტანიათ საჭირო დასკვნები. კომფნისტი დ. ზაქარაძე მთარალი მიუყვა საჭეს. პარტიულმა ორგანიზაციამ სასტიკი საყვედური გამოუტანა საღრიცხვო ბარათში შეტანით.

არის ნაკლოვანებებიც. მაგალითად, საერთო პროდუქციაში ძალიან მცირეა საყოფაცხოვრებო დანიშნულების პროდუქციის გამოშვება. იგი მნიშვნელოვნად უნდა გაიზარდოს.

დიახ, ათასკაციან კოლექტივში, სადაც საქვეყნო საქმე კეთდება, პარტბიუროს დიდი ფუნქცია აკისრია. აღზარდო ადამიანები, შეამეცადინეო კოლექტივი, წარმატებით გადაწყვიტო საწარმოს ამოცანები, ადვილი როდია. პარტიული მუშაობა მარტო საქალაქოები და კრებები არ არის. ეს უპირველეს ყოვლისა, ადამიანებთან მუშაობაა. უნდა ჩაიხედო კოლექტივის ყოველი წევრის სულში, გესმოდეს მათი და გააგებინო შენი, დარაზმო ისინი დიდი საქმეების გადასაწყვეტად.

მეორე ეხება მივედი ქარხანაში. პარტბიუროს მდივანთან ერთად ჩამოვიარეთ საამქროები, გავესაუბრეთ მუშებს, ყველგან საქმიანი განწყობილება. ისეთმა კონტაქტებმა, მდივნის გეგმებისა და ფიქრების გაცნობამ დამარწმუნა, რომ კოლექტივს სწორად აქვს გაგებული მთავარი ამოცანა. ალბათ გატარებული ღონისძიებებით უნდა აიხსნას, რომ წელს ყველა თვეში საწარმო გეგმებს წარმატებით ასრულებს.

საქმე მხოლოდ ბათუმის ტრანსფორმატორების ქარხანას რიგი ეხება. მეთორმეტე ხუთწლედს მტკიცედ ავუწყოთ ფეხი — ეს ყველასა და თითოეულის მოვალეობაა. როგორც ხშირად ამბობენ, დიდ მიზნს დიდი ენერგია სჭირდება, სწორედ მთელი ძალებისა და ენერგიის მობილიზებაა საჭირო იმ გეგმების შესასრულებლად, რაც პარტიის XXVII ყრილობამ და სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა დაგვისახეს.

მ. ᲒᲝᲠᲒᲘᲚᲐᲫᲔ,
„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ საკ. კორ.





ᲖᲐᲥᲮᲣᲚᲘᲡ პიკი დაემთხვა ივლისის ალოობის პიკს მცხეთის რაიონის ძალახის საბჭოთა მეურნეობაში.

აქ 275 ჰექტარი უკავია ბოსტნეულ კულტურებს, აქედან ოცი ჰექტარი — სათესლე ხახვს.

ცდილობენ რა მოიწიონ უხვი მოსავალი, მებოსტნეები გულმოდგინედ ამუშავებენ ნათესებს სამკურნალო ხსნარით.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: მოწინავე მებოსტნე ც. ფოცხვერაშვილი; პამიდვრის ნათესების მექანიზებული შეწამვლა.

Ი. ᲓᲐᲕᲘᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐ და **მ. ᲓᲐᲗᲘᲪᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ** ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ᲓᲐᲜᲐᲙᲐᲠᲒᲔᲑᲘᲡ ᲖᲠᲓᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, რომ კარგი ხარისხის მანგანუმის კონცენტრატის მისაღებად საუკეთესო ნედლეულად მდიდარი ჟანგეული მადნები ითვლება. ამიტომ, ეს მადნები, სხვა ტიპებთან შედარებით, როგორც წარსულში, ისე ახლაც, მოპოვების ძირითად ობიექტს წარმოადგენს. სწორედ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ საერთო ბალანსურ მარაგებში მკვეთრად შემცირდა მათი წილი. ასეთი ტენდენცია კი, რა თქმა უნდა, საბადოს სამრეწველო ღირებულების მკვეთრ დაქვეითებასთან არის დაკავშირებული. საბადოს ღარიბი მადნების ათვისება და სახალხო მეურნეობის სამსახურში ჩაყენება დიდი მნიშვნელობის ამოცანაა.

უკანასკნელ წლებში, ჯარბონატული და დაჟანგული მადნების მამდიდრებელ ფაბრიკების ამოქმედებით ამ მხრივ პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა.

მანგანუმის მრეწველობის განვითარების პერსპექტივას საფუძვლად უდევს ჭიათურის მანგანუმის აუზის განვითარებისა და მამქმედი მამდიდრებელი ფაბრიკების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება. მაღაროებისა და მამდიდრებელი ფაბრიკების რეკონსტრუქცია და ტექნიკური განახლება უზრუნველყოფს საბადოს ყველა ტიპის მადნების მოპოვებისა და გადამუშავების ეფექტიანობის გადიდებას და ღარიბ მადნების ათვისების პრობლემის გადაჭრას. ამ ღონისძიების განხორციელების დაჩქარებას დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭება. მისი დამთავრება მეთერთმეტე ხუთწლედის დამლევისათვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ დღეისთვის საწყის სტადიაშია. ღარიბი მადნების ათვისების პრობლემის დროულად გადაწყვეტას იმ მხრივაც აქვს მნიშვნელობა, რომ იგი მთლიანად გამორიცხავს საბადოს მდიდარი უბნების შერჩევით დამუშავებას. საბადოს მდიდარი უბნების შერჩევით დამუშავება სამრეწველო ღირებულების შემცირებასთან არის დაკავშირებული და წიაღისეულის საბალანსო მარაგის დაუსაბუთებელი დანაკარგების მიზეზი ხდება. სამწუხაროდ, ზოგჯერ ჩვენთანაც მიმართავენ შერჩევით დამუშავებას. მოვიყვანო ერთ საგულისხმო მაგალითს. დიმიტროვის სახელობის მაღაროთსამმართველოს ყოფილი № 10 უბნის ვენი მაშინ მიატოვეს, როდესაც მისი მომზადება დამთავრდა და საექსპლოატაციო, ე. ი. წმენდითი სამუშაოები დაიწყო. მიზეზი მხოლოდ ის გახლდათ, რომ ხსენებული უბნის ვენში არ იყო ჟანგეული მადნები. სამაგიეროდ იყო კარბონატული მადნები, და თანაც ეს მაღაროთსამმართველო ერთადერთი საწარმოა ჭიათურაში, რომელსაც გააჩნია კარბონატული მადნების მამდიდრებელი ფაბრიკა. უბანში გაყვანილი სამთო გამონამუშევრები ხუთი წელია რაც უკონსერვაციოდ მიატოვეს და დაინგრა.

წიაღისეულის ნორმალური დამუშავებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საბადოს ველის განსხისა და საექსპლოატაციოდ მომზადების ოპტიმალური პარამეტრების განსაზღვრას. ამ მხრივ აჩქარებამ შეიძლება სავალალო მდგომარეობაში ჩაგვაყენოს.

საბადოს ნორმალურ დამუშავებაზე უარყოფითად მოქმედებს ის ფაქტიც, რომ ამჟამად მოქმედ უბნებში სამუშაო ველს ზედმეტად აქუცმაცებენ. იმის გამო, რომ ყოველთვის არ ხორციელდება საენტილაციო გამონამუშევრების ღეფორმირებული გამაგრების აღდგენასთან დაკავშირებული ღონისძიებები, წმენდითი სამუშაოებისათვის მათი გამოყენება შეუძლებელი ხდება. ზოგჯერ მიწისქვეშა ველის საექსპლოატაციოდ მომზადება იწყება ისე, რომ მის ზედაპირს მოსახლეობისაგან არ ანთავისუფლებენ. მოსახლეობის სხვა ადგილზე გადაყვანა წლობით ჭიანურდება, ფეხდება მომზადებულ ველში წმენდითი სამუშაოების დაწყება და ინგრევა მიტოვებული სამთო გამონამუშევრები, ასეთ შემთხვევაში მიმართავენ დამატებითი გამონამუშევრების გაყვანას, რაც სამთო სამუშაოების გართულებისა და მადნის საექსპლოატაციო დანაკარგების ზრდის ფაქტორი ხდება.

ჭიათურის მანგანუმის საბადოს საუკუნოვანი ექსპლოატაციის შედეგად მისი ცენტრალური ნაწილის ჟანგეული მადნები მდიდარი ფართობები მთლიანად დაიფარა. საექსპლოატაციო სამუშაოებმა გადაინაცვლა პერიფერიებისაკენ, სადაც მანგანუმიანი ჰორიზონტი ძირითადად კარბონატული და დაჟანგული მადნებითაა წარმოდგენილი. ადრე დამუშავებულ ფართობებზე განხორციელებული გეოლოგიური ძიების მონაცემებით კარბონატულ და დაჟანგულ მადნებთან ერთად, მტკიცდება ჟანგეული მადნების მარაგების არსებობა. საბადოს პერიფერიულ ნაწილებში ჟანგეული მადნების სიმცირემ და ამ უკანასკნელზე გაზრდილმა მოთხოვნებმა განაპირობა ადრე დამუშავებული ველების გამეორებითი ექსპლოატაციის აუცილებლობა. განმეორებითი ექსპლოატაციის ხვედრითი წილი ყოველწლიურად მატულობს. ველის განმეორებითი დამუშავების განხორციელება კი დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებული. ამიტომ, საბადოს განმეორებითი დამუშავების ეფექტიანი მეთოდებისა და ტექნოლოგიის შემუშავებადანერგვა აქტუალური პრობლემაა.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა ამ მხრივ ჩვენს მაღაროთსამმართველოს სინამდვილეში, რომლის საწარმოო უბნებს მადნის მოპოვებითი სამუშაოების შესრულება უხდებათ ისეთ ველში, სადაც ფენის სახურავი გვერდი ადგილად შლადი თიხებითაა წარმოდგენილი და სამთო გამონამუშევრების გაყვანისას ჭერის მართვა ხელუხლებელ ველშიც ძლიერ გართულებულია. ადრე დამუშავებულ ველებში კი მადნის ფენისა და მისი სახურავი გვერდის ინტეგსიური დეფორმაციის გამო, მადნის მოპოვება დაკავშირებულია დიდ დანაკარგებთან, ზოგჯერ შეუძლებელიც ხდება.

საერთოდ, ჭიათურის აუზის მაღაროებში სამთო გამონამუშევრების გაყვანის პროცესში, განსაკუთრებით კი წმენდით სანგრევებზე ჭერის ნორმალურ მართვას სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის მადნის მოხგრევისათვის ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოები. ეს ყველაზე მეტად იგრძნობა ჩვენი მაღაროს როგორც განმეორებით დასამუშავებელი, ისე ხელუხლებელი ველებისათვის მახასიათებელ რთულ სამთო-გეოლოგიურ პირობებში. ამიტომ, უპირველესი პრობლემაა მადნის მასივის წინასწარი (აუფეთქებლად) შესუსტების რაციონალური ხერხის გამონახვა. ბურღვა-აფეთქებითი სამუშაოების გამორიცხვა უზრუნველყოფს მანგანუმის მადნის მოპოვების ნაკადურობას, შექმნის მექანიზებული კომბლექსის დანერგვის შესაძლებლობას.

ჯეროვან ყურადღებას მოითხოვს საბადოს მადნების ტექნოლოგიური გამოკვლევა-შესწავლა და მათი გეოლოგიურ-ტექნოლოგიური შეფასება. საწუხაროდ, ასეთი სამუშაოების წარმოება ეპიზოდურ ხასიათს ატარებს და არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ცალკეული საწარმოო უბნების მადნების ტექნოლოგიურ თვისებების ერთიანი ბანკი ჰქონდეს. ეს ფაქტორი ერთ-ერთ ძირითადი მიზეზია, რომ ჭიათურის მანგანუმის საბადოს ბალანსში ჟანგეული მადნების ხვედრითი წილი ბოლო ოცი წლის განმავლობაში 50-ზე 30-ზე ჩამოვიდა. ეს ფაქტორი ერთ-ერთ ძირითადი მიზეზია, ასევე, ბალანსში ღარიბ მადნებზე ხვედრითი წილის ზრდის

ფაქტები • მოვლენები ეროვნული პოლიტიკა

გზა გადავუკეტოთ უშრომელ შემოსავალს

თაღლითობის ლაბირინთებში

უკანასკნელი წლების მანძილზე გარდაბნის რაიონში განსაკუთრებით გამწვავდა ბრძოლა საზოგადოების ხარჯზე ცხოვრების მოყვარულთა წინააღმდეგ, განსოცილელად კანონმდებლობის განმტკიცების, ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობის გაუმჯობესების მნიშვნელოვანი ღონისძიებანი, მკვეთრად გაიზარდა საზოგადოებრიობის, შრომითი კოლექტივების როლი. მართალია, ამ ღონისძიებათა წყალობით ბევრ დამტაცებელს, ხაზინის ქურდს, მექრთამეს, სპეკულანტს, პარაზიტს, როგორც იტყვიან, დამსახურებისამებრ მიეზღო, მაგრამ მდგომარეობა მაინც ნელა სწორდება, დანაშაულობანი კვლავაც ხდება.

პარაზიტები

ქ. გარდაბნის მცხოვრებთა თვალწინ მათი სიღუკეები ახლაც ილანდება. ვინ არიან ესენი? ოცდაოთხი წლის ნასრ გუსეინოვი, მისივე თანატოლი ლეგან ნადარეიშვილი, ოცდაერთი წლის ზულმა კასუმოვი... ეს ჯანღონით სავსე ახალგაზრდები არსად არ მუშაობდნენ; არც უმუშევიათ, შშობლების კისერზე პარაზიტებად ცხოვრობდნენ, მთელი დღეები „ბირეებზე“ ლაზღანდარობდნენ. ვერ ვიტყვით, რომ მათ არ აფრთხილებდნენ, მაგრამ არ გაჭრა შეგონებამ. მეტის მოთმენა აღარ შეიძლებოდა. ეს ვაგბატონები სისხლის სამართლის პასუხისგებაში ბიცემული და საკადრისად დაისჯებიან. ახლა ბევრსაც ნანობენ, მაგრამ გვიანღაა თითზე კბენინი.

მუქთახორობა ბოროტი დანაშაულის წყაროაა. სოფელ გამარჯვებაში მცხოვრები გ. შენგელიძე არსად არ მუშაობდა და აზარტული თამაშით ირთობდა თავს, ამ საქმეში იგი ისე გიწყფა, შემოსავლის წყაროდ გაიხადა, რისთვისაც ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში დადიოდა. „გასტროლიორი“ სწორედ მაშინ დაიკავეს, როცა მორიგი მსხვერპლი ჩაეგდო კლუბებში. არამი ლუკმა არ შერჩა.

გარდაბნის შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის ა. გუშარაშვილის კომენტარი:

— საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაუბმელობისათვის ბოლო ხანს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცმული რამდენიმე პირი, რომლებიც უშრომელი შემოსავლებით ცხოვრობდნენ. მაგრამ ჩვენი რაიონისათვის ეს ხვავში წვეთია. ამ მხრივ მუშაობა კიდევ უფრო გააქტიურდება.

დაქირავებული შრომა?!

ვერ ვიტყვი, რომ უშრომელი შემოსავლის ისეთი აკრძალული, დასაგმობი ფორმა, როგორიცაა დაქირავებული შრომა, რაიონში ფეხმოკიდებული მოვლენა იყოს, მაგრამ მაინც გვხვდება. იგი ძირითადად გავრცელებულია ღუთაქლიის, ფონეჯალის, ჯანდარის, ქესალოს სასოფლო საბჭოებში. და თუ ახლავე არ ავიმაღლეთ ხმა, მერე გვიან იქნება.

ვინ არიან დამქირავებლები?

ამ სოფლების მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, სამწუხაროდ, მათ შორის კომუნისტებიც: ისინი ფლობენ საკარმიდამო ნაკვეთის უმაღლეს ნორმას, აქვთ აგრეთვე სათბურები, რომელთა უმრავლესობა ორ-სამჯერ და მეტადაც კი აღემატება დადგენილ ნორმებს, თესავენ სარფიან კულტურებს, სხვებს გროშს ფასად ამუშავებენ, თვითონ კი ბაზრებში დაძრწიან, ბოსტნეულს, ყვავილებს, ცოცხს მამასისხლად ყიდიან და ურცხვად ისჭექენენ ჯიბეს. სოფელ გაჩიანში ზოგიერთ ოჯახს წლობით ჰყავს დაქირავებული მუშახელი.

ვის ქირაობენ? ეგრეთ წოდებულ „მაწანწალებს“, გაურკვეველი პროფესიის ადამიანებს, „გადაკვრის“ მოყვარულ უნებისყოფოებს, რომლებიც სათითაოდაც და ჯგუფებადაც ჩამოდიან ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან. მათ აქ, რომ იტყვიან, ფეხქვეშ მყარი ნიადაგი ხვდებათ. ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების ინსპექტორები მათ კარს არ უხშობენ, ცხოვრობენ ჩუეწერლად. ესეც უბიძგებს მათ სისხლის სამართლის დანაშაულზე.

ხაზინის ქურდები

უშრომელი შემოსავლის ერთ-ერთი წყაროა სახელმწიფო ქონების დატაცება, განაიავება თუ მითვისება. ეს სამარცხვინო მოვლენები უცხო ხილი როდია გარდაბნის რაიონში. სარგებლობდა რა საწარმოს ხელმძღვანელთა დოყლაპაობით და წაყრუებითაც კი, ბოროტად ისარგებლა თავისი სამსახურით გაჩიანის ასფალტ-ბეტონის ქარხნის მთავარმა ბუღალტერმა თამარ ხაზროვამ და ათიათასობით მანეთი მითვისა.

ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდა გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის მექანიკოსი გ. ბოდოკია. ამას ყველა ამჩნევდა, მაგრამ არავის არ უკითხავს, თუ საიდან აღწევდა ამას. საიდუმლოებას ფარდა მაშინ აეხადა, როცა გამოვლინდა, რომ გ. ბოდოკია ხანგრძლივი დროის მანძილზე ხარბად იჯიბავდა დიდძალ სახელმწიფო თანხებს. თუმცა ამ ქარხანაში ხაზინის ქურდობა წლების მანძილზე ფეხმოკიდებული პოლეფენა ყოფილა.

სამწუხაროდ, გრძელია სახელმწიფო სიმდიდრის დამტაცებელთა სია. ბოროტმოქმედნი ამის ისე ჩაადიან, ვინც როგორც ახერხებს, სოფელ თაზაკენდში მცხოვრებმა ასენ ქიაპრიმოვმა, მაგალითად, ერთ დღეს 360 მანეთის (სახელმწიფო ღირებულებით) ცემენტი დაიტაცა.

ვინ ატყუებს მომხმარებელს?

არიან ადამიანები, რომლებიც ეძებენ „თბილ ადგილებს“, სადაც განსაკუთრებული რისკის გაუწევლად შეიძლება მოიხვეჭო სათანადო სიმდიდრე. სწორედ ასეთებზე ამბობენ, „ცხოვრება იციანო“.

მარტყოფის უნივერმაღის გამყიდველი თ. სახლთუცუმვილი აშკარად ძარცვავდა მომხმარებელს. ერთ-ერთ მთგანს მამაკაცის ოთხ ცალ პერანგში და ორ ცალ შალის საბანში ზედმეტად 42 მანეთი გადაახდევინა. ამავე უნივერმაღის საწყობში გადამალული აღმოჩნდა ათი ათასი მანეთის დეფიციტური საქონელი. სარითელის უნივერმაღის გამყიდველმა ნ. წიკლაურმა ერთ წამში მომხმარებელს დასცინცლა 16,66 მანეთი. გარდაბნის საჯკვების მუშათა სასადილოს მეგუფეტემ ო. კიკნაველიძემ მომხმარებელს 16,45 მანეთი მოატყუა და ა. შ. სამწუხაროდ, ეს ერთეული შემთხვევები როდია, რაც იმით არის გამოწვეული, რომ რაიონს ზოგიერთ საჯარო ობიექტში ნაკლები ყურადღება ექცევა კონტროლისა და შემოწმების ეფექტიანობის გაზრდას, კადრების შერჩევისა და განაწილების ყველა მოთხოვნის დაცვას,

წვრილმანი ყალთაბანდები

ხშირად თავს იჩენს ასეთი კანონზომიერება: მსხვილ გაიძვერებთან ყოველთვის არსებობენ უფრო წვრილმანი ყალთაბანდები, რომლებიც უშრომელ შემოსავალს იხვეჭენ.

—თუ გადავხედავთ,—თქვა შინაგან საქმეთა რაიგანყოფილების უფროსის მოადგილემ პოლიტიკურ ნაწილში თ. მირზაძემ, — რაიონის მაჩვენებლებს წვრილმანი დატაცების მხრივ, ასეთი სურათი წარმოგვიდგება: წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებულია ათობით ასეთი დანაშაული და ყველა დაისჯა სასამართლო წესით. მათ შორის არის ქ. გარდაბანში მცხოვრები ბ. გელაშვილი, რომელიც მასზე გაპირონებულ სახელმწიფო ავტომანქანას პირადი გამორჩენის მიზნით იყენებდა.

კერძომესაკუთრულმა ფსიქოლოგიამ ბევრს ისე დაუბინდა გონება, რომ კვლავაც ხდიან ჯაჭვს არაყს და ყიდიან, ხელს უწყობენ ლოთობას. აი, ზოგიერთი მათგანი: მარტყოფელი ზ. კირილაშვილი, სართიჭალელი ი. ლურსმანაშვილი, გარდაბნელი ა. შახბაზოვა, მზიანეთელი ნ. გობეჯიშვილი და სხვები. ახლახან ამ ხაზით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს რამდენიმე, ხოლო 6 კაცზე მასალები კოლექტივს გადაეცა განსახილველად. ნამორთმეულია 8 ცალი არყის სახდელი აპარატი და 250-მდე ლიტრი არაყი. გამოვლენილია ასზე მეტი კაცი, რომლებიც ნასვამნი ესხდნენ ავტომანქანის საჭეს, ხოლო 11-მა მთგანმა ეს მეორედ ჩაიდინა. ეს ფაქტები ნათლად მეტყველებს, რომ ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილი დადგენილების შესასრულებლად რაიონში არადამაკმაყოფილებელი მუშაობაა გაწეული.

არის კიდევ უშრომელი შემოსავლის, ანუ ფულის შოვნის ერთი წყარო — ბინის გაქირავება. აქირავებენ არა მარტო კერძო, არამედ კომუნალურ და საუწყებო ბინებსაც კი. გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის ოც ბინაში ისინი კი არ ცხოვრობენ, ვიზეც ორდერები გაიცა, არამედ უცხო პირები. ეს ფაქტი მიუთითებს, რომ წესრიგი არ არის ბინების განაწილებაში, ხშირად ბინას იღებს ის, ვისაც არ ესაჭიროება.

უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებები, ახალი საკანონმდებლო აქტები მნიშვნელოვნად აფართოებს გარდაბნის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამართალდაცვითი ორგანოების მოღვაწეობის ასპარეზს, ქმნის მათი საქმიანობის შემდგომი გაქტიურების, მუშაობის იმდაგვარად წარმართვის პირობებს, რომ ყველამ იშრომოს პატიოსნად, უნარის მიხედვით, ხოლო მიეზღოს შრომის მიხედვით.

დ. ბიწაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

„ვეფხვები ღამით ნადირობენ“...

უშრომელ შემოსავლად ფილმებსაც იყენებენ

ერთი შეხედვით საგანგებო არაფერი მომხდარა. 23 ივნისს სოფლის ორღობეებში გამოკრული აფიშები კინოს მოყვარულთა შაშიანის კულტურის სახლში უცხოური დეტექტური ფილმის საუურებლად იწვევდა: ყმაწვილებს — დღის ოთხ საათზე, მოზრდილებს კი გვიან საღამოს.

მართალია, ორშაბათობით კულტურის სახლიც ისვენებს და კინომექანიკოსიც, მაგრამ წინა ორ დღეს დარბაზი სხვა ღონისძიებებით იყო დაკავებული და ამიტომ ამ დღეს ფილმის დემონსტრირება სოფლის მოსახლეობის კინოგანათლებისა და საფინანსო გეგმის შესრულებისათვის ზრუნვად მიიჩნიეს, თუმცა ზოგ-ზოგებს ეჭვი მაინც შეეპარათ კინომუშაკთა ასეთ გულმოდგინებაში, და არც შემცდარან.

ოთხი საათი სრულდებოდა, კულტურის სახლთან სოფლის კვალობაზე უამრავმა ხალხმა მოიყარა თავი, სალარო კი რატომღაც არ იღებოდა. არც მოლარე ნანა ბეკანაშვილი ჩანდა, არც კულტურის სახლის დირექტორი. ვალერიან დავითაშვილი. თუმცა ამას სულაც არ შეუწუხებია კინომექანიკოსი რობინზონ ჯაკვაძე. იგი თვითონ ჩადგა დარბაზის კარებში და დაიწყო ფულის შეგროვება. როცა ყველა მსურველი შეუშვა, ჯიხურს მიაშარა და ეკრანზე ფილმის გმირებიც ამოქმედდნენ.

ამ დროს გამოჩნდნენ მოლარე ნანა ბეკანაშვილი და სახალხო კონტროლიორთა ჯგუფიც. მართალია, დაინახეს თუ არა შემმოწმებელნი, მოლარემ და კინომექანიკოსმა ბილეთების დახევა მოასწრეს, მაგრამ ეს შეუმჩნეველი არ დარჩენილა.

— ვინ ბრძანდებიან? — ჰკითხეს ერთსაც და მეორესაც. — ოთხმოცდაათიო, — ერთხმად უპასუხა ორივემ (სწორედ ამდენი ბილეთის დახევა მოასწრეს). როცა გადათვალეს, 102 კაცი აღმოჩნდა. ყველაფერი გაირკვა. არც იმ 90-ს და არც ზედმეტ თორმეტს ბილეთები არ ჰქონდათ.

— დღეს ხომ დასვენების დღე გაქვს, რატომ მუშაობთ? — ჰკითხეს კინომექანიკოსს.

— კარგი ფილმი ჩამიგარდა ხელში, თანაც გეგმის შესრულებას ცოტა კიდევ მაკლია და ვიფიქრე, სანქმე გამომესწორებინა, — იყო პასუხი.

შემდეგ, როცა სახალხო კონტროლიორები დაინტერესდნენ, გამოირკვა, რომ გეგმის შესრულებას ბევრი არაფერი აკლდა და თვის ბოლომდე დარჩენილ დღეებში არა თუ შესრულება, მისი გადაჭარბებაც თავისუფლად შეიძლებოდა.

—მაინც რა სურათია ისეთი, რომ ხვალ ან ზეგ არ შეიძლებოდა ჩვენება?

— „ვეფხვები ღამით ნადირობენ“, თანაც მარტო ერთი დღით ვიშოვე!

— სად?

— გურჯაანის „კინოგაქირავებიდან“ წამოვიღე.

„კინოგაქირავების“ გურჯაანის ზონალური განყოფილების გამგემ ვაჟა ხუციშვილმა კი თქვა, განყოფილებას მხატვრული ფილმი „ვეფხვები ღამით ნადირობენ“ ფონდში არა აქვსო.

„კინოგაქირავების“ რესპუბლიკური კანტორის განმარტება ასეთია: საზღვარგარეთული ფილმი „ვეფხვები ღამით ნადირობენ“ დემონსტრირების უფლების ვადის გასვლის გამო ამოღებულია რეპერტუარიდან.

რობინზონ ჯაკვაძეს ამის შემდეგ რაღა დარჩენოდა და განაცხადა — ფილმი მომიტანა ზოდაშნელმა ბიშამ, სახელი გურამა ჰქვია, გვარი არ ვიცი.

სახალხო კონტროლიორებმა კინო შეაწყვეტინეს, ხოლო „გურამას“ კუთვნილი ფილმი სახალხო კონტროლის რაიონულ კომიტეტს გადასცეს, როგორც „მარცხენა“ შემოსავლის ნივთიერი მტკიცებულება.

მასალები შემდგომი ძიებისათვის გადაეგზავნა პროკურატურას.

ვეფხვები ღამე გამოდიან სანადიროდ, როგორც ეტყობა, შაშიანელი კინომოღვაწეები დღისითაც არ ერიდებიან მოსახვეჭელის მოხვეჭას.

ვ. მახარობლიშვილი.

ბოიკოტი—აპარტეიდის რეჟიმს!

აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს სესიამ დაგმო პრეტორიელი რასისტებისადმი იმპერიალისტური სახელმწიფოების ხელშეწყობის პოლიტიკა.

ნიგერიის დელეგაციის ინიციატივით სესიამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მტკიცედ დაგმო აპარტეიდის რეჟიმისადმი ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და დასავლეთის სხვა სახელმწიფოების ხელშეწყობის პოლიტიკა. ასეთი პოზიციას, აღნიშნულია დოკუმენტში, მტკიცედ გმობს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელთა უმრავლესობა, მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობა. მოვუწოდებთ მთავრობებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, უწინარეს ყოვლისა დასავლეთის ქვეყნებში, გააძლიერონ მოძრაობა იმისათვის, რომ ბოიკოტი გამოუცხადონ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას.

სესიის მონაწილეებმა მოისმინეს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მიდგნის მოხსენებები კომისიის საქმიანობისა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის თავდაცვის საკითხებზე და ახლო აღმოსავლეთში შექმნილი ვითარების შესახებ. მათ მოიწონეს იდეა შეიქმნას სრულიად აფრიკის თავდაცვითი ორგანო, აგრეთვე დაადასტურეს აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის პოზიცია პალესტინელი არაბი ხალხის თვითგამორკვევისა და საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლების აღიარების საკითხში.

სესიის პოლიტიკურმა კომიტეტმა განიხილა უგანდის წინააღდეგ ატომის მშვიდობიან ათვისებაში აფრიკის სახელმწიფოების მონაწილეობის შესახებ. ბირთვული ენერგია, განაცხადა ამ ქვეყნის წარმომადგენელმა, უნდა ემსახურებოდეს მშვიდობისა და პროგრესის მიზნებს. ივი უნდა გამოვიყენოთ კონტინენტის განვითარების დაჩქარების ინტერესებისათვის. წამოაყენეს იდეა ბირთვული ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სრულიად აფრიკის ცენტრის შექმნის შესახებ. გადაწყვიტეს ამ პრობლემის განხილვა განაგრძონ აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მინისტრთა საბჭოს მომდევნო სესიაზე.

◆ საფრანგეთ-ავღანეთი

„ჰუმანური“ დახმარება

პარიზი. საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ჟაკ შირაკმა მოლაპარაკება გამართა აქ ოფიციალურ ვიზიტად მოფე პაკისტანის პრემიერ-მინისტრთან მ. ხ. ჯუნეჯოსთან.

შირაკმა, კერძოდ, განაცხადა, რომ მისი მთავრობა აპირებს ეგრეთ წოდებული „ჰუმანური“ დახმარება გაუდიდოს ავღანელ „ლტოლვილებს“ პაკისტანში. მანამდე პრესა ოუწყებოდა, რომ საფრანგეთის მთავრობა აპირებს „ჰუმანური“ დახმარების სახით 300 ათასი დოლარი მისცეს პაკისტანის ტერიტორიაზე მოკალათებულ ავღანელ კონტრრევოლუციონერებს, რომლებიც ბანდიტურ თავდასხმებს აწყობენ ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე.

ქაბული. საფრანგეთის დროებითი საქმეთა რწმუნებული გამოიძახეს ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში, სადაც გადასცეს საპროტესტო ნოტა ავღანეთის მიმართ საფრანგეთის ახალი არამეგობრული აქციების გამო.

როგორც ბაჰთარის სააგენტო ოუწყება, ნოტაში ყურადღება ეთმობა იმას, რომ ერთ-ერთ საერთაშორისო ორასამთავრობო ორგანიზაციას, რომელიც ძირგამოთხრილ ანტიავღანურ საქმიანობას ეწევა, 200 მილიონი ფრანკი გამოუყვეს, და რომ საფრანგეთმა დახმარების სახით ავღანეთის კონტრრევოლუციონერებს მისცა 300 ათასი დოლარი.

საფრანგეთის ოფიციალური ხელისუფლები, აღნიშნულია დოკუმენტში, ასეთი აქციებით აშკარად არღვევენ ადამიანის უფლებებს, მოქმედებენ ჰუმანურობისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების საწინააღმდეგოდ, ცდილობენ განაგრძონ ავღანეთის საშინაო საქმეებში ჩარევა, დგამენ ახალ ნაბიჯებს ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელი ომის მასშტაბის გასაფართოებლად.

ავღანეთის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და ხალხი მტკიცე პროტესტს აცხადებენ საფრანგეთის მთავრობის ასეთი მოქმედების გამო, რომლის შედეგებმა არ შეიძლება გავლენა არ მოახდინოს ორი ქვეყნის ურთიერთობაზე, ნათქვამია ნოტაში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ ტოკიო. ჯაკარტიდან მიღებული ცნობების თანახმად, ინდონეზიის გაერთიანებულ ბელისეჯატა“ ამ დღეებში ოუწყებოდა, რომ ქვეყნის უმაღლესმა სასამართლომ უარი თქვა თხოვნაზე ინდონეზიის კომუნისტური პარტიის აქტივისტის ასეა სურიამანის შეწყალების შესახებ.

◆ ნიუ-იორკი. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინელი ხალხის ხელშეუვალი უფლებების განხორციელებისათვის მოქმედების კომიტეტმა მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით დაუყოვნებლივ მოიწვიონ საერთაშორისო კონფერენცია ახლო აღმოსავლეთის საკითხებზე. კომიტეტის მიერ მოწონებულ მოხსენებაში ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ეს არის ერთადერთი რეალური გზა ახლო აღმოსავლეთის პრობლემის ყოვლისმომცველი და სამართლიანი მოწესრიგებისათვის.

განიხილეს ვიზიტის შედეგები

ბონი. აქ გაიმართა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის სხდომა, რომელზეც განიხილეს სსრ კავშირში ფედერალური კანცლერის მოადგილის, საგარეო საქმეთა ფედერალური მინისტრის ჰ.-დ. გენშერის ოფიციალური ვიზიტის შედეგები.

როგორც ხაზგასმით აღინიშნა, მთავრობამ კმაყოფილება გამოთქვა მოსკოვში გენშერის მოლაპარაკების შედეგების გამო.

ვაშინგტონი. აქ ჩამოსული ჰ.-დ. გენშერი შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ჯ. შულცს და მასთან ერთად განიხილა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ურთიერთობა. კერძოდ, სსრ კავშირსა ამასწინანდელი ვიზიტის შედეგები.

ინგლისი

დაიწყო არდადეგები

ლონდონი. ბრიტანეთის პარლამენტში საზაფხულო არდადეგები დაიწყო. პარლამენტარები ბრუნდებიან თავიანთ საარჩევნო ოლქებში სესიის შემდეგ, რომელიც ერთ-ერთი უმწვავესი იყო ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ისტორიაში ამ ბოლო წლების მანძილზე.

როგორც ამასთან დაკავშირებით გაზეთი „მორნინგ სტარი“ აღნიშნავს, ბევრი ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, განსაკუთრებით კონსერვატიული პარტიის ბანაკში, „შვებით ამოისუნთქავს“, როცა ვეტმინსტერის დარბაზები დაცარიელდება. პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერისათვის, აღნიშნავს გაზეთი, გასული პოლიტიკური სეზონი აღსავსე იყო სკანდალური მოვლენებით, რომლებიც, კერძოდ, ცხადყოფენ, რომ როვევა იწყო მის გარშემო „ტორის ერთიანობის ფასადმა“. პარლამენტის სწორედ ახლანდელ სესიას დაუკავშირდა დიდ ბრიტანეთში ერთ-ერთი ყველაზე გაჭიანურებული და გახმაურებული პოლიტიკური სკანდალი „უესტლენდის“ ვერტმფრინავსაშენებელი ფირმის გამო.

სესიის მსვლელობაში ტორის კაბინეტი მრავალგზის მკაცრად გააკრიტიკეს დამოუკიდელი სოციალურ-ეკონომიკური კურსისათვის, რომელსაც საფუძვლად უდევს „მკაცრი ეკონომიის“ რეჟიმი ინდუსტრიის ნაციონალიზებული დარგებისა და უმნიშვნელოვანესი საშინაო პროგრამების ხარჯზე.

გადადეს „ატლასის“ გაშვება

ვაშინგტონი. აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის ეროვნულმა სამმართველომ გადაწყვიტა გაურკვეველი ვადით გადადოს 28 აგვისტოსათვის განზრახული მატარებელი რაკეტის „ატლას-კენტავრის“ გაშვება.

მას დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე უნდა გაეყვანა პენტაგონის კავშირის თანამგზავრი. უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ეს უკვე მეორედ გადადეს ამ ტიპის მატარებელი რაკეტის გაშვება, ადრე გაშვება გადადეს იმის გამო, რომ მასში ჰაერში აფეთქდა „დელტა“ რაკეტა, რომელსაც „ატლას-კენტავრის“ ანალოგიური ძრავა ჰქონდა.

როგორც ცნობილია, ამჟამად „ატლას-კენტავრი“ ერთადერთი გამოსადეგი ძრავაა ამერიკის მატარებელი რაკეტების გამოშვებისათვის. ასეთი სიტუაცია შეიქმნა მას შემდეგ, რაც მრავალჯერადი გამოყენების ხომალდი „ჩელენჯერის“ კატასტროფისა და სტარტის დროს „დელტა“ და „ტიტან-34 დ“ რაკეტების აფეთქებათა შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებს მოესპო ყველა დანარჩენი მატარებლები, რომლებსაც უნარი შესწევთ ობიექტები გაიყვანონ დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე.

აერონავტიკისა და კოსმოსური სივრცის კვლევის სამმართველოს წარმომადგენლის ცნობით, „ატლას-კენტავრის“ რაკეტის გაშვების გადადების შესახებ ახლანდელი გადაწყვეტილება მიიღეს მას შემდეგ, რაც დამამზადებელ საწარმოში აღმოაჩინეს რაკეტისათვის განკუთვნილი დაზუნებული ელექტრონული მოწყობილობის პარტია.

ფოტოექრანი



თავისუფლების კუნძულზე

26 ივლისი კუბის ეროვნული აჯანყების დღეა

ტრადიციისამებრ კუბელები თავიანთ ყველა ეროვნულ დღესასწაულს ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან. მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტზე და მომსახურების სფეროში ფართოდ არის გაჩაღებული სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის გასაადიდებლად, სამუშაო დროის, ენერგორესურსებისა და ნედლეულის დაზოგვისათვის.

განუხრელად ვითარდება და მაღალ დონეს მიაღწია სსრ კავშირსა და კუბას შორის ეკონომიკურმა, სამეცნიერო-ტექნიკურმა და კულტურულმა თანამშრომლობამ. გაიზარდა რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო ობიექტების მშენებლობასა და რეკონსტრუქციაში, ინფრასტრუქტურის, ეროვნული კადრების მოსამზადებლად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში საბჭოთა კავშირის ტექნიკური დახმარების მოცულობა და მასშტაბი.

სურათებზე: თავისუფლების კუნძულის ეროვნული გმირის, პოეტისა და პუბლიცისტის, სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლის ხოსე მარტის ძეგლი; ჰავანის პანორამა; კუბელი სტუდენტი.

საკ. ფოტო.

ამერიკის ნამდვილი სახე

დამცველის საძრახის როლში

თეთრ სახლში პრეზიდენტ რეიგანის გამოსვლის გამო

ვაშინგტონი. შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს განაგრძოს პრეტორიის რასისტული რეჟიმის მხარდაჭერის პოლიტიკა. ეს არაორაზროვნად დაადასტურა პრეზიდენტმა რ. რეიგანმა თეთრ სახლში სიტყვის წარმოთქმისას, რომელსაც წინასწარ რეკლამა გაუკეთეს, როგორც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ურთიერთობის საკითხზე „მნიშვნელოვან და მთავარ სიტყვას“.

მოიხსენია რა მსოფლიოში მზარდი პროტესტები ტეორიის წინააღმდეგ, რომელიც სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რეჟიმმა გაიჩაღა ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, რეიგანმა აღნიშნა სამხრეთ აფრიკაში აფეთქებასაშიში მდგომარეობა. იგი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში არეულობის მთავარი მიზეზია აპარტეიდი“, რომელიც არის „მორალური ბოროტება“, „პოლიტიკური თვალსაზრისით მიუღებელი“ და „საჭიროა მისი ლიკვიდაცია“.

მაგრამ ყოველივე ეს სიტყვებია, რომლებიც ძირითადად გათვალისწინებულია საშინაო-პოლიტიკური მიზნებისათვის. საქმით კი პრეზიდენტმა უარი თქვა შეიცვალოს ვაშინგტონისა და პრეტორიის „კონსტრუქციული თანამშრომლობის სამარცხვინო პოლიტიკა. რეიგანმა კატეგორიულად გაილაშქრა პრეტორიის მიმართ ყოველგვარი სანქციების წინააღმდეგ. მან ასეთი სანქციების დაწესების გამო გააფრთხილა არა მარტო ამერიკის კონგრესი, არამედ დასავლეთის ყველა ქვეყანა და პირდაპირ აღნიშნა, თუ რა დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას დასავლეთის ინტერესებისათვის. „სტრატეგიული თვალსაზრისით ეს მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რაიონია“, — განაცხადა რეიგანმა. „სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, თქვა პრეზიდენტმა, მდიდარია ბევრი უაღრესად მნიშვნელოვანი სასარგებლო წიაღისეულით: ვანადიუმით, მანგანუმით, ქრომით, პლატინით, და დასავლეთს არა აქვს მათი მიღების სხვა საიმედო წყარო“. ამასთან პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ამერიკის კორპორაციებს მრავალმილიარდიანი კაპიტალური დაბანდება აქვთ ამ სფეროში.

რეიგანმა იკისრა ბოტას რასისტული რეჟიმის დამცველის საძრახისი როლი და ურცხვად ამტკიცებდა, თითქოს უკანასკნელ წლებში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში გაუმჯობესების მიმართულებით „მთამბეჭდავი ცვლილებანი“ მომხდარიყოს და ხელისუფალნი ერთგვარ „რეფორმებს“ ახორციელებდნენ. რეიგანს რომ მოვუსმინოთ, არეულობის წამქეზებლები არიან არა პოლიციისა და უშიშროების ძალების თეთრკანიანი ყაჩაღები, რომლებმაც 12 ივნისს საგანგებო წესების შემოღების შემდეგ 500-მდე კაცი მოკლეს, არამედ რასობრივი ჩაგვრისაგან ქვეყნის განთავისუფლებისათვის მებრძოლი აფრიკელთა ეროვნული კონგრესის პატრიოტები, რომლებსაც პრეზიდენტმა დაბრალა... „ტეროროზმი“. თავის გამოსვლაში ვაშინგტონის ადმინისტრაციის მეთაურმა მიმართა აგრეთვე გაცვეთილ მითს „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ და ამტკიცებდა, თუ დასავლეთი „წვავ“ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან, ეს თითქოს ხელს მისცემს სსრ კავშირს.

რეიგანის სიტყვამ აღშფოთება გამოიწვია მთელ მსოფლიოში, და უწინარეს ყოვლისა სამხრეთ აფრიკაში“. „საზიზღარი და უაზრო“ უწოდა პრეზიდენტის გამოსვლას სამხრეთ აფრიკის გაერთიანებული დემოკრატიული ფრონტის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ალან ბუსაკმ.

თეთრი სახლის მეთაურის სიტყვა გააკიცხეს აფრიკის ეროვნულ თანამეგობრობის შტატების კონგრესის წევრებმა. გინდ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტულ რეჟიმთან გაიგანმშრომლა და ვინდ ჰიტლერულ რაიხთან, — განაცხადა „სი-ბი-ესის“ ტელეკომპანიის პროგრამაში ცნობილმა ამერიკელმა სენატორმა ალან კრენსტონმა. პრეზიდენტმა, აღნიშნა სენატორმა ე. კენედიმ, ფაქტობრივად კიდევ უფრო ფართოდ დაუჭირა მხარი აპარტეიდის სისტემას. „კონსტრუქციული თანამშრომლობის“ პოლიტიკა სამარცხვინოა ამერიკის შეერთებული შტატებისათვის, აღნიშნა თავის მხრივ სენატორმა ჯ. სერბეინსმა. როგორც იუნიტედ პრეს ინტერნეშენლის სააგენტო აღნიშნავს, რეიგანის სიტყვა იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკისადმი პოლიტიკის საკითხზე „პრეზიდენტის უკვე ადრე გამოთქმულ შეხედულებათა გამეორება“.

საზოგადოებრივი აზრის საწინააღმდეგოდ

ვაშინგტონი. ნევადის შტატის პოლიგონზე შეერთებულმა შტატებმა განახორციელა მორიგი მიწისქვეშა ბირთვული აფეთქება.

მორიგი ბირთვული აფეთქება ნევადაში

როგორც ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, 20 კილოტონა იყო სიმძლავრე აფეთქებისა, რომლის კოდური სახელწოდებაა „კორნეიკოუპია“ („სიუხვის რქა“). გამოცდის მოწყობის თაობაზე წინასწარ არაფერს იუწყებოდნენ. ბირთვული იარაღის ეს გამოცდა წლეულს მერვეა, რომელიც ოფიციალურად გამოაცხადა ამერიკის ენერგეტიკის სამინისტრომ, და მეთხუთმეტე — საბჭოთა კავშირის მიერ ცალმხრივი მორატორიუმის შემოღების დღიდან.

ბირთვული მოწყობილობის ახალმა გამოცდამ კიდევ ერთხელ ცხადყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატები უგულებელყოფს საბჭოთა კავშირის მოწოდებ

გულახდილი საუბარი

ჩვენმა ცნობილმა პროზაიკოსმა და კრიტიკოსმა გიორგი ნატროშვილმა ამას წინათ „კომუნისტში“ დაბეჭდა წერილი საგულისხმო სათაურით — „რა ეშველება კრიტიკას“.* თუ ავტორი ნებას დამრთავს, მეც შევეხიარები ამ ფრიად მრავლისმეტყველ სათაურს — „რა ეშველება კრიტიკას?“

უპირველესი საშველი თვით კრიტიკის ნაკლოვანებათა მიზეზების ღრმა შესწავლა იქნება.

ის გარემოება, რომ დღეს გასაკუთრებით გამახვილდა ყურადღება მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკისადმი, სრულიად არ არის შემთხვევითი. ეს არის ფრიად კანონზომიერი მოვლენა თვით ჩვენი ლიტერატურული პროცესის, თვით ჩვენი ცხოვრების სიღრმეში შემზადებული, მომწიფებული და წარმოშობილი. შეიძლება ითქვას, რომ დღეს მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის ვითარება ჩვენს მხატვრულ-ლიტერატურულ ცხოვრებაში ჯაჭვის ის რგოლია, ლენინის ცნობილი მეტაფორა რომ ვიხმაროთ, რომელსაც ხელი უნდა ჩავეჭიდოთ, რათა მთელი ჯაჭვი ამოვზიდოთ და გავმართოთ. მე ვფიქრობ, ამაში ძირითადი არსი და აზრი პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისაც მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის შესახებ.

კრიტიკის საკითხებს მიეძღვნა საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი, რომელიც ამ ორი თვის წინათ ჩატარდა დედაქალაქში და საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმიც. საერთოდ, მიღებულია, რომ ჩატარებული ღონისძიების გამო კარგი ითქვას. მე ცოტათი უნდა გადავუხვიო ამ წესს. ვილაპარაკო ძირითადში იმ საკითხებზე, რაც არა მარტო მე, მრავალ ჩვენთაგანს შეგნებულად აწუხებს. ამ პლენუმის მუშაობა, რასაკვირველია, არ შეიძლება ასე თუ ისე ნაყოფიერი არ იყოს. მათი შედეგები, ცხადია, გარკვეულ დადებით ნაყოფს მოიტანს ჩვენი კრიტიკის განვითარების „თვალსაზრისით, მაგრამ მიუხედავად ზოგიერთი საგულისხმო სიტყვისა, მე მაინც მათგან მეტს მოველოდი. მხედველობაში მაქვს განსაკუთრებით ჩვენი — საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის პლენუმი.

მე მოველოდი, რომ ეს პლენუმი უფრო მკაფიოდ და ნათლად გამოირკვევდა ჩვენი ქართული კრიტიკის ძოდუნებისა ფუჩამორჩენის მიზეზებს, უფრო ღრმად ჩაიხედვდა ჩვენი კრიტიკისა და მაშასადამე, მთელი ქართული ლიტერატურული ცხოვრების ობიექტურ შინაარსში. იმისი თქმა, რომ ბეგრი ტენდენცია თუ მოვლენა, რაც მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა ლიტერატურაში ხდება საყოველთაოდ და მაშასადამე დამახასიათებელია ჩვენთვისაც, — მართალია, მაგრამ საკმაოდ არის. გარდა საყოველთაოსი, ჩვენი სულიერი ცხოვრების ყოველ უბანს, ყოველ ეროვნულ ერთეულს თავისი განსაკუთვნებული ნიშან-თვისებები გააჩნია. ჩვენ აუცილებლად გვესაჭიროება ჩვენი ქართული კრიტიკის ყველა ნაკლოვანებების ფესვებს თუ მიზეზების გამორკვევა. ძნელია, თითქმის შეუძლებელია ისეთი ავადმყოფობის მკურნალობა, რომლის გამომწვევი მიზეზები ჩვენ არ ვიცით.

რასაკვირველია, მე ვიცი, ყოველ შემთხვევაში გათვითცნობიერებული ადამიანისთვის ადვილი გასაგები იქნება, რომ მიზეზი იმისა, რომ, ვთქვათ, მე ცუდად ვწერ, მე მიმიძღვის ბრალი იმაში, ვითომდა ნაწარმოების კრიტიკულად ვიხილავ და ნამდვილად კი ზღიდამოდ ვაკვები მის შინაარსს, ან გაფაციცებით ვეძებ ამაღლებული ხარისხის ეპითეტებს, რომ ხელოვნებით ვაქო და ვადიდო რომელიმე უფერული ნაწარმოები, ან ვითომდა ფრიად პრინციპულ კრიტიკულ წერილს ვწერ რომელიმე მწერლის გამო, მაგრამ ცალი თვალი მაინც იქითკენ მიპირავს, თუ რა მდგომარეობა უპირავს ამ მწერალს, ან მინდა ფრიად დიდი სიბრძნე ვაფრქვიო, უცხო სახელებისა და უცხო ტერმინების კორიანტელს ვაყენებ მაგრამ ამ კორიანტელებით შინაგან სიცარიელეს ვფარავ, ვახერხებ, ბეგრი ვილაპარაკო და არაფერი ვთქვა, ან ფრიად დიდ გაბედულებას ვიჩენ, ძორფესვიანად ვთხრი რომელიმე საგულისხმო ხასიათისა, საფუძვლიანობისა და ობიექტურობის ილუზიას მოხერხებულად ვქმნი, მაგრამ თუ ჩემს ნაწერს კარგად გაუსინჯავენ კბილს, აღმოჩნდება, რომ რაღაც ახგაოიეის ვასუორებ, ან ჩვენი დროის ყველა ახალ ხასარმოებს გულაცრუებულად ვხვდები, გულგრილად ვაქცევ მათ ზურგს და შორეული მოვლენებისა და საკითხებისაკენ მივიწევ... ერთი სიტყვით, თუ ყველა ეს „ან-ახ“ მხოლოდ ჩემგან ანუ ერთეულებისგან მოდის, — აქ მიზეზი, სათავე თუ ფესვი ადვილი ამოსაცნობია. ამ სათავე სუბიექტურ სფეროს მიეკუთვნება, ან უხიერობაა, ან უმეცრეა, ან ორივე ერთად. მე ცუდად ვწერ, მიზეზი ჩემშია. მაშასადამე საქმე ერთეულებს, ცალეულ პიროვნებ ეხება.

მაგრამ როცა ნაკლოვანებანი გარკვეულ ხასიათს იღებს, როცა ტიპიურობის ნიშნებს იძენს? მაშინ?

მხატვრულ-ლიტერატურული კრიტიკის როლი და ძხიშვნელობა დღეს დიდ სიმაღლეზეა აწეული. ამჟამად ჩემი მიზანი არ არის ვარკვევ — რა არის კრიტიკა — მეცნიერება თუ მხატვრული ლიტერატურის სპეციფიური ქანრი, ცოტა მეცნიერებაც და ცოტა მხატვრული აზროვნებაც, თუ სხვა რამ... ერთი რამ კი, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა ითქვას: კრიტიკა არ არის მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების უბრალო დანამატი, ემოციებისა და მხატვრული სახეების უბრალო მთარგმნელი ლოგიკურ მცნებათა ენაზე.

პეშმარიტ მხატვრულ-ლიტერატურულ კრიტიკას თავისი სათქმელი უნდა ჰქონდეს მკითხველისთვის, იგი სრულუფლებიანი მონაწილე უნდა იყოს ეპოქის იდეურ-ესთეტიკური თვითშემეცნებისა; მხატვრული ფაქტის იდეურ-ესთეტიკური ანალიზის მეშვეობით იგი უნდა იქრებოდეს თვით ცხოვრების, თვით სინამდვილის ულრმეს მრეებში და ამოჰქონდეს მათ შესახებ გარკვეული იდეურ-ესთეტიკური მსჯავრი. ეს არის მთავარი. მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს იმას, რომ კრიტიკა გარკვეული მნიშვნელობით ასრულებდეს ერთგვარი შუამავლის როლსაც. მხატვრულ ნაწარმოებთა და მკითხველთა შორის, ასრულებდეს აგრეთვე ერთგვარი წუნდებლის როლსაც. თუმცა უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი ვინმე ჩვენ შორის კრიტიკის ამ როლს დიდად აზვიადებს, ფიქრობს, რომ კრიტიკამ, უპირველეს ყოვლისა, უნდა დაიცოსოს სუსტი, მდარე ანუ უნიჭო მწერლები. არა, მე მგონი, ეს არ არის ნამდვილი კრიტიკის არამც თუ უპირველესი, არამედ არც მესამე რიგის ამოცანაც კი. მდარე მწერლებს თვით ცხოვრება, თვით ხალხი ძალიან ადვილად უკუაგდებს და ივიწყებს. მდარე, ცუდი, სუსტი ნაწარმოებების გამო მხატვრულ-ლიტერატურულმა კრიტიკამ თამამად შეუძლია უსაყვედუროს მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალების, გაზეთების და გამომცემლობების მუშაკებს: უკვანტავს საკვანტავად რად გაიხდეთო, რად ბეჭდავთ უსუსურ, უღიმღამო ნაწარმოებს?!

კრიტიკისათვის უფრო ხელსაყრელი და საქმისათვისაც უფრო მიზანშეწონილი და ნაყოფიერია, რომ თუ ეს საჭიროა, კრიტიკა ედავოს, ეკამათოს, რასაკვირველია, დიდი ტაქტითა და გულისხმიერებით ნიჭიერ შემოქმედებს, ნამდვილ დიდოსტატებს. დიდი შემოქმედების, დიდი ოსტატების მხატვრულ-იდეური ხარვეზები, შეცდომები, თუ ნაკლოვანებანიც სრულ უფრო სამძიმო და საფათურაკოა. თუმცა არიან ისეთები, რომლებიც ფიქრობენ, ნიჭიერი კაცის ხელიდან ყველაფერი სასაკეთო და კარგი გამოდის, ყველაფერი ნიჭიერული თავისთავად სასაკეთო და მისაღებიაო — ნეტამც ასე იყოს! მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არ არის ყოველთვის ასე.

ბოროტება და უკეთმართობა მოკლებული რომ იყოს ისეთ ძლიერ ილარღსა თუ საშუალებას როგორც ნიჭია, როგორც ტალანტია, — მაშინ ყოველი ამქვეყნიური ბოროტება და უკეთმართობა სულ ადვილი დასაძლევი და აღმოსაფხვრელი იქნებოდა. მაგრამ ვაი, რომ ასე არ არის!..

რასაკვირველია, მხატვრულ ღირებულებათა არა სუსტი, არამედ ნიჭიერი და ძლიერი შემქმნელებია ნაგულისხმევი. ცნობილ პარტიულ დებულებაში იმის შესახებ, რომ საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა, ხოლო მისი ნაკლოვანებანი კიდევ უფრო სწრაფად აღმოიფხვრებოდა, ჩვენი ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკა რომ უფრო აქტიურად აბორიცეულებდეს პარტიის ხაზს, იჩენდეს მეტ პრინციპულობას, მომეხოვნელობას ახამებდეს ტაქტთან...“.

ცხადია, აქ ლაპარაკია ეპოქის შესატყვისი მაღალი რანგის ლიტერატურასა და ხელოვნებაზე და არა ისეთ ნაწარმოებებზე, რომლებიც თავისთავადაც, ნამდვილი ხელოვნებისა და ლიტერატურის გარეშე დგას.

ჩვენი კრიტიკის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაც, ჩემი აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ მან არ მოადუნოს, არ დაკარგოს მკვეთრი გრძნობა დიდი წყალგამყოფი ხაზისა ნამდვილ ლიტერატურასა და არალიტერატურას შორის და, რაც მთავრია, არ დაკარგოს გრძნობა დიდი წყალგამყოფი ხაზისა, ჩვენი ეპოქის პროგრესულ ჰუმანისტურ სოციალურ იდეალებსა და ანტიჰუმანისტურ, არაპროგრესულ სოციალურ იდეებს შორის.

რასაკვირველია, არ შეიძლება ჩვენ ყველას ერთნაირი ესთეტიკური დამოკიდებულება გვქონდეს სილამაზესა და სიმშვენიერეზე. ამ სფეროში ერთნაირობა და ერთგვაროობა, მეტი რომ არ ვთქვათ, ჩვენი სულიერი ცხოვრების სრული გადაგვარება იქნებოდა.

მაგრამ ამ სხვადასხვა გვარეობაში არ უნდა დაგვავიწყდეს ჩვენი ერთიანობა, ანუ არ უნდა დაგვეკარგოს სწორედ იმ დიდი წყალგამყოფი ხაზის გრძნობა, რომელიც არსებობს სოციალურ სიკეთესა და სოციალურ ბოროტებას შორის.

მე გულახდილად უნდა ვთქვა, რომ აქა-იქ ჩვენს ქართულ კრიტიკაში შეიმჩნევა რაღაც ბუნდოვნება, რაღაც გაურკვევლობა, ორიენტირებისა და მისამართების არევა, ერთი სიტყვით, ნებით თუ უნებლიეთ გვაწუხებს ის, რომ ყოველთვის მკაფიოდ, მკვეთრად, ნათლად და ცხადად არ მოჩანს, თუ გნებავთ, წმინდა ესთეტიკური პოზიციაც კი კრიტიკოსისა, მწერლისა.

მე ამას ვლაპარაკობ არა როგორც უცოდველთა ვინმე, არამედ სხვათაებრ ცოდვილიანი და სხვათაებრ გულშემატკივარი.

რასაკვირველია, რა მაღალარისხოვანიც უნდა იყოს ცდები, კრიტიკას არ ძალუძს დაბადოს ახალი ტალანტები, ახალი ვაჟაფშაველები, ახალი გალაკტიონები, ახალი კოსტანტინეები.

ასეთებს ბადებს ბუნება და ეპოქა, მათ ცა ნიშნავს და ერი ზრდის... მაგრამ კრიტიკას შეუძლია იბრძოლოს მათი შემოქმედების სწორი მიმართულებისათვის, ისე როგორც შუქურას შეუძლია მღვრიე ზღვაში ნავთსადგურისაკენ გაუნათოს გზა ხომალდებს.

მაგრამ ამისათვის, ცხადია, თვით კრიტიკოსს უნდა ჰქონდეს სინათლის, ცოდნის, სიბრძნის დიდი მარაგი, უნდა ჰქონდეს ფრიად ნათელი, მკაფიო იდეურ-ესთეტიკური პოზიცია.

ქართული კრიტიკის ნაკლოვანებათა მიზეზები არც თუ ისე გარკვეულია, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით მოჩანდეს.

ლავროსი კალანდაძე.

1972 წ.

* **ვ. ნატროშვილის აღნიშნული წერილი, როგორც გამოსმეურება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაზე „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, დაიბეჭდა გაზეთ „კომუნისტის“ 1972 წლის 6 თებერვლის ნომერში. ლ. კალანდაძის ეს წერილი, რომელიც გარკვეულად ეხმიანება ქართული კრიტიკის დღევანდელ ვითარებას, რედაქციას განსვენებულის მეულლემ მოაწოდა.**

მწერლის არქივიდან

ტილოებზეა თანამედროვეობა

ცხინვალში გამართულ საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვრის გრიგოლ კოტაძეის ნაშუშევრების გამოფენას, რომელიც მისი დაბადების 60 და შემოქმედებითი მოღვაწეობის 40 წლისთავს მიეძღვნა, დიდი ინტერესით ეცნობიან ხელოვნების მოყვარულნი.

გამოჩენილი მხატვრების მოსე თოიძის, ბახარეკ თურგანოვისა და გიორგი რუხლიოვის აღზრდილმა, სახვითი ხელოვნების მოყვარულთა სამსკვროზე წარმოდგენა ფერწერული და გრაფიკული ტილოები, რომლებზეც ასახულია ახალი საზოგადოების მშენებელი თანამედროვე ადამიანი, აგრეთვე ზეობლიური კუთხის სილამაზე.

სურათზე: „იური კოჩიევი — სოციალისტური შრომის გმირი, ზღვაოსანი, ჩრდილოეთ პოლუსის დამპყრობი“ — ასე უწოდა ავტორმა ამ ნაშუშევარს.

ლ. გუსოვის ფოტო. (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ციცფერ ეკრანზე



საძარიმველოს ტელევიზიის ერთი კვირის პროგრამა

ორშაბათი, 28 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ბუნების დაცვა“. 10.30 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „მოხუცი ხოტაბიჩი“. 11.55 — „თეატრალური პანორამა“ (განმეორებით). 13.15 — ტელეეკურსელთათვის, საშინაო დავალების ანალიზი მათემატიკაში. 13.45 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.25 — „დოკუმენტური ფილმი „ვერნადსკის კანონი“. 17.15 — საბჭოური ცხოვრების წესი. ქართული დოკუმენტური ფილმი „სანდესის საქმე“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „თვალსაწიერი“ (სატელევიზიო ჟურნალი). 18.10 — მულტიპლიკაციური ფილმი. 18.30 — „სტუმრად მხატვართან“. ვ. დუღლაძე. 19.00 — მოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „ჩვენი სოფელი“. 19.40 — საერთაშორისო დღიური. 20.00— მოამბე. 20.35 — „უჩვენებს სატელევიზიო თეატრი“. ი. გარუჩავა და პ. ხოტიანოვსკი — „აღსარება“. სატელევიზიო პიესტაკლის პრემიერა. საქართველოს ტელევიზიის დადგმა (მ.). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „გიწვევთ საკონცერტო დარბაზებში“. ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლის „75“-ის კონცერტი. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება. 0.10 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. გ. კასპაროვისა და ა. კარპოვის მატჩ-რევანში (მ.).

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ჩვეულებრივი სასწაულები“. 17.20 — მხატვრული ფილმი „ველური ძალლი დინგო“.

სამშაბათი, 29 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 10.40 — ი. გარუჩავა და პ. ხოტიანოვსკი — „აღსარება“ (განმეორებით). 12.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელ ქვეყანას საიდუმლოდ“. პირველი სერია. 13.10 — ქართული ენის ტელეკურსი. 13.40 — საინფორმაციო გამოშვება. 13.55 — ამბიტურინტთათვის. ქიმია. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ქართული სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „ტყე შეუნახე შვილებსა“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — მოსწავლეთათვის. კინოჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „ადამიანი“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალღებზე მონავარდე“. 17.25 — განცხადებები. 17.30— მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“.

ხუთშაბათი, 31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ახლოს“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო თავდაცვაში“. 10.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეს ძველისძველი ზღაპარი“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეოცე საუკუნის პირამიდები“ (პირველი ჩვენება). 12.35 — კონცერტი „უკრავს ნანა იაშვილი“ (განმეორებით). 12.55 — ამბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეგბი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — „საესტრადო პანორამა“. 18.50 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თითოეულს — შრომის მიხედვით“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის. „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „კინოს სამყაროში“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალღებზე მონავარდე“. 17.25 — განცხადებები. 17.30— მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“.

პარასკევი, 1 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ახლოს“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო თავდაცვაში“. 10.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეს ძველისძველი ზღაპარი“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეოცე საუკუნის პირამიდები“ (პირველი ჩვენება). 12.35 — კონცერტი „უკრავს ნანა იაშვილი“ (განმეორებით). 12.55 — ამბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეგბი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — „საესტრადო პანორამა“. 18.50 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თითოეულს — შრომის მიხედვით“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის. „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ახალგაზრდობისათვის. „სადა ხართ, რაინდებო!“

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიოკოვური საზამთრო“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ მოგვევები“. 17.40 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი შებრუნებიათ“.

ხუთშაბათი, 31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ახლოს“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო თავდაცვაში“. 10.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეს ძველისძველი ზღაპარი“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეოცე საუკუნის პირამიდები“ (პირველი ჩვენება). 12.35 — კონცერტი „უკრავს ნანა იაშვილი“ (განმეორებით). 12.55 — ამბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეგბი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — „საესტრადო პანორამა“. 18.50 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თითოეულს — შრომის მიხედვით“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის. „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ახალგაზრდობისათვის. „ადამიანი“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალღებზე მონავარდე“. 17.25 — განცხადებები. 17.30— მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“.

პარასკევი, 1 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 11.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.35 — ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. კრიკეტი. 12.05—ახალგაზრდობისათვის. გასართობი პროგრამა (განმეორებით). 12.50—მულტიპლიკაციური ფილმი. 13.00—პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — „იუსუფ ყობალაძის როლები კინოში“. 13.30 — „ბალეტის მოყვარულთათვის“. 14.30—ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. ქეთევან მატაბელი. 15.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.20 — „კურორტები — პრობლემები, პერსპექტივები“ (განმეორებით). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის. 17.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.05 — შოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „შენებლობა და არქიტექტურა“. 17.45 — ანსამბლი „ლერდა“ 40 წლისაა. 19.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.30 — მოამბე. 20.05 — ტელეხიდი „მოსკოვი-ქალაქი“ (მ.). 22.00—„ვრემია“. 22.40 — მხატვრული პროგრამა „ფილმი. მსახიობი, როლი“.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.20 და 10.45— დოკუმენტური ტელეფილმები. 9.30 — რიტმული ტანვარჯიში. 10.15 — დილის ფოსტა. 11.05 — უკრაინის ტელევიზიის პროგრამა. 12.20 — მულტიფილმები. 12.50 — მოგზაურთა კლუბი. 13.45 — ფილმ-კონცერტი. 14.35 — მხატვრული ტელეფილმი „აგარაკის ამბები“. 15.25 — მოსწავლეებს ბუნების დაცვის შესახებ. 16.10 — კუბის ეროვნული სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. დირიჟორი — გ. რომეუ. 17.10— მე-9 სტუდია. 18.30 — მუსიკალური ტელეფილმი „ჩხიკვთა ქორწილი“. 19.40 — ი. ბონდარევი. „დიალოგი მკითხველთან“. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“ 21.15 — ჩოგბურთი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ფილმ-სპექტაკლი „დედამთილი და სიმი რძალი“. 0.30 — ახალი ამბები.

ოთხშაბათი, 30 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — საერთაშორისო დღიური (განმეორებით). 10.40 — ი. გარუჩავა და პ. ხოტიანოვსკი — „აღსარება“ (განმეორებით). 12.05 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. სატელევიზიო მხატვრული ფილმი „მთელ ქვეყანას საიდუმლოდ“. II სერია. 12.10 — დოკუმენტური ფილმი „საობიექტო ვარჯიში სამოქალაქო თავდაცვაში“. 12.40 — კინოჟურნალი „ვარსკვლავა“. 13.30 — მათემატიკის ტელეკურსი. 14.00 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ქართული სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამი, ოთხი“... 16.25 — რეკლამა. 16.35 — მულტფილმების პროგრამა. 17.25 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რევაზ ლაღიძე“. 17.45 — დაგაჩქაროთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი. „მეორე მექანიზაცია“. 18.10 — „ახალი წიგნები“. 18.35 — განცხადებები. 18.40 — სცენები მუსიკალური სპექტაკლებიდან. 19.25 — მოამბე. 20.00 — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში: თბილისის „დინამო“ — ქუთაისის „ტორპედო“. რეპორტაჟი თბილისის 3. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონიდან. შესვენების დროს (20.45) — კინოჟურნალი. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ახალგაზრდობისათვის. „სადა ხართ, რაინდებო!“

მეორე პროგრამა. 16.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ბიოკოვური საზამთრო“. 17.05 — განცხადებები. 17.10 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „შენ მოგვევები“. 17.40 — მხატვრული ფილმი „ყველაფერი შებრუნებიათ“.

ხუთშაბათი, 31 ივლისი

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „ქალაქის ახლოს“. 10.30 — დოკუმენტური ფილმი „პრაქტიკული მეცადინეობა სამოქალაქო თავდაცვაში“. 10.50 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მხატვრული ფილმი „ეს ძველისძველი ზღაპარი“. 12.25 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი „მეოცე საუკუნის პირამიდები“ (პირველი ჩვენება). 12.35 — კონცერტი „უკრავს ნანა იაშვილი“ (განმეორებით). 12.55 — ამბიტურიენტებისათვის. ბიოლოგია. 13.25 — საინფორმაციო გამოშვება. 16.05 — საინფორმაციო გამოშვება (რუსულ ენაზე). 16.15 — ტელეეკურსელთათვის. საშინაო დავალების ანალიზი ქართულ ენასა და ლიტერატურაში. 16.45 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 16.55 — მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 17.15 — ქართული დოკუმენტური ფილმი „რეგბი“. 17.35 — მოსწავლეთათვის. „ფანტაზია და მარჯვე ხელები“. 18.00 — „საესტრადო პანორამა“. 18.50 — სატელევიზიო პროგრამა „ახალგაზრდობა“. 19.45 — დღეს მსოფლიოში (მ.). 20.00 — მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. მატჩ-რევანში (მ.). 20.05 — მოამბე. 20.40 — „თითოეულს — შრომის მიხედვით“. 21.00 — ახალგაზრდობისათვის. „გულშემატკივართა კლუბი“ (ფეხბურთში მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის შესახებ). 22.00 — „ვრემია“. 22.40 — „ახალგაზრდობისათვის. „ადამიანი“. 23.50 — საინფორმაციო გამოშვება.

მეორე პროგრამა. 17.05 — ქართული დოკუმენტური ფილმი „ტალღებზე მონავარდე“. 17.25 — განცხადებები. 17.30— მხატვრული ფილმი „ბავშვობის დღესასწაული“.

პარასკევი, 1 აგვისტო

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.10 — დღეს თბილისის კინოთეატრების ეკრანებზე. 10.20 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათვის „ცისკარა“. მულტიპლიკაციური ფილმების პროგრამა. 11.00 — ქართული ენისა და ლიტერატურის ტელეკურსი. 11.30 — პოეზიის ხუთი წუთი. 11.35 — ემზადებიან სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადისათვის. კრიკეტი. 12.05—ახალგაზრდობისათვის. გასართობი პროგრამა (განმეორებით). 12.50—მულტიპლიკაციური ფილმი. 13.00—პოეზიის ხუთი წუთი. 13.05 — „იუსუფ ყობალაძის როლები კინოში“. 13.30 — „ბალეტის მოყვარულთათვის“. 14.30—ახალგაზრდა შემოქმედთა სატელევიზიო კლუბი. ქეთევან მატაბელი. 15.15 — პოეზიის ხუთი წუთი. 15.20 — „კურორტები — პრობლემები, პერსპექტივები“ (განმეორებით). 16.05 — საინფორმაციო გამოშვება. 16.15 — „სამხრეთი საზღვრების სადარაჯოზე“. სატელევიზიო ჟურნალი საბჭოთა არმიის შეიარაღებისათვის. 17.00 — პოეზიის ხუთი წუთი. 17.05 — შოქმედების, გარდაქმნის, წინსვლის პროგრამა. „შენებლობა და არქიტექტურა“. 17.45 — ანსამბლი „ლერდა“ 40 წლისაა. 19.20 — პოეზიის ხუთი წუთი. 19.30 — მოამბე. 20.05 — ტელეხიდი „მოსკო